

საქართველოს



იმისთანა წმინდა საძმომი,
ბედობიც ბეჭდურბი სიფყვამ,
ფყდილობით და ჭობობით ბუბთის
გაფანა ყველა უკანდისობაზე
უსამაგლესია.



დაარსებულია
1918 წელს.



პარასკევი, 15 ივნისი, 2007 წელი.

№ 111 (5712)


რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

საქართველოს
ევროპაში
კალიან
ქლიერი
მოკავშირე
გაუჩნდა




2

არც მთვრალ და
არც ფხიზელ
ქართველს არაფერი
დასნიზმრებია

4

ვინ აღადგენს
ნდობას
ქართველებსა
და აფხაზებს
შორის?



14

სამშობლო
გულში იხუტებს...

საქართველო მისი სამშობლოა, მისი არტის-
ტული ტემპერამენტის სათავე, პეტერბურგ-
ში ჩამოყალიბდა მოცეკვავედ, ნიუ-იორკში კი
ქართველი გიორგი ბალანჩივაძე, ევროპაში
ჯორჯ ბალანჩინად მონათლული, ამერიკუ-
ლი ქორეოგრაფიის მამამთავარი ხდება

2

უფრო ქვეყანა და
გაუფრულებული ყოფა,

ანუ როგორ ვღერს
ერთი ცნობილი სიმღერის ტექსტის
პერიფრაზირებული ორი ტაეზი

ქუთაისის მერიანი
საქმის მსოფნე ხალხი
თავისი საყვარლებით
ჩაანაცვლან!

3

1991-1992 წლების მოვლენების
„გვირგვამი“ საქუთარ
თავს პოლიტიკური
საფლავი მოუფხადას



8-9

გარკვეული მცდელო-
ბისდა მიუხედავად, თ.
სიგუასა და ე.შევა-
რდნაძის მიერ შემოთა-
ვაზებული ფორმული-
რება, მათივე მხარდამ-
ჭერებისთვისაც მიუღე-
ბელი გამოდგა. ისინი
მხოლოდ „სახალხო რე-
ვოლუციამზე“ აკეთებდ-
ნენ აქცენტირებას. პრე-
სა და ტელევიზია ამ მი-
მართულებით პერმა-
ნენტულ იდეოლოგიურ
პროპაგანდას ეწეოდა

ნიკოლა სარკოზი აცხადებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამასთან დაკავშირებით, მან რუს კოლეგასთან საუბრისას მკვეთრად გამოხატა საკუთარი პოზიცია



ნიკოლა სარკოზი

ვიზიტი

მიხეილ სააკაშვილი: საქართველოს ევროპაში ძალიან ძლიერი მოკავშირე გაუჩნდა

საპარტიზო პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ფრანგ კოლეგასთან, ნიკოლა სარკოზისთან გამართული შეხვედრის შემდეგ, მოლაპარაკებების თაობაზე კომენტარი გააკეთა.

საკაშვილის თქმით, საფრანგეთის პრეზიდენტთან საუბრისას იგი დარწმუნდა, რომ ამ ქვეყნის სახით საქართველოს ძლიერი მოკავშირე ჰყავს.

საფრანგეთის ზოგად მხარდაჭერას ყოველთვის ვგრძობდით, მაგრამ ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ეს მხარდაჭერა აბსოლუტურად ყველა სფეროში კონკრეტული გახდა, - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ევროპაში ძალიან ძლიერი მოკავშირე გაუჩნდა.

პრეზიდენტი სარკოზი, მართლაც, უკიდურესად ძლიერი პოზიციის მქონე ევროპელი პოლიტიკოსია. მას ფრანგების ფუნდამენტური მხარდაჭერა აქვს, რაც გენერალ დეგოლის შემდეგ, არც ერთ ფრანგ ლიდერს არ ჰქონია. რაც მთავარია, მას აბსოლუტურად ზუსტი ხედვა აქვს ჩვენს საკითხებთან დაკავშირებით და ბევრ სხვა საკითხთან მიმართებაში, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

საკაშვილის განცხადებით, ასეთი პოზიცია ევროპაში ადრე არც ერთ მთავრობას არ ჰქონია.

„ზოგად მხარდაჭერას ყოველთვის

ვგრძობდით და ყველასთან ვთანამშრომლობდით, მაგრამ ჩვენს მიმართ მსგავსი კონკრეტული და მკაცრი პოზიცია არავის არ გამოუხატავს“ - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთში იმყოფება.

მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი, რომელიც საფრანგეთის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ საკუთარ რეზიდენციაში მიიღო.

შეხვედრისას მათ ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინ-

ტეგრაციის პერსპექტივები და ენ. გაყინული კონფლიქტების თემა განიხილეს.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა და საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტები დასახეს და საქართველოსა და საფრანგეთს შორის ეკონომიკური კავშირის გაღრმავებაზე ისაუბრეს.

ნიკოლა სარკოზი აცხადებს, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამასთან დაკავშირებით, მან რუს კოლეგასთან საუბრისას მკვეთრად გამოხატა საკუთარი პოზიცია და განუცხადა მას, რომ კოსოვოს მოდელი არ შეიძლება განხილული იყოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების დროს.

XO-208-360

სიახლე

ძარტველი ადვოკატები პროფესიული რისკებისაგან დაზღვეულნი იქნებიან, ამის შესახებ აცნობეს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ შეკრებილ საზოგადოებას გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე. მას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა ასლანიშვილი უძღვევოდა. მასთან ერთად ბრიფინგს ესწრებოდნენ აშშ-ის იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ჯონ ბრაუნი, ისრაელში რეგისტრირებული საერთაშორისო საბროკერო კომპანია „მადანესის“ პრეზიდენტი შ. მადანესი და სა-

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის საერთო კოდექსის თანახმად, საკვალდებულოა პროფესიული რისკების დაზღვევა. დღესდღეობით, ადვოკატთა ასოციაცია არის ერთადერთი ორგანიზაცია საქართველოში, რომელსაც ევროკავშირი აღიარებს. ჩვენ ვართ „პირველი მერცხლები“. იმედია, რომ მომავალში სხვა პროფესიების წარმომადგენლებიც მოგვბაძვენ“.

— მაინც, რით არის მომგებიანი ამ პროექტის განხორციელება ადვოკატისა და მისი კლიენტისათვის? - კვითხებთ ბატონ კახას.

ბინდისფერი სოფელი

უფერო ქვეყანა და გაუფერულებული ყოფა,

ანუ როგორ უღარს ერთი სწოვანი სიმღერის ტექსტის პერიფრაზირებული ორი ტააზი

ზღვისპირა ფერს, ცისა ფერს... მართლაც, ამ საოცრად ლამაზ ფერს ეთაყვანებოდა დიდი პოეტი და ვეთაყვანებოდი და შეგხაროდით ჩვენც, ლამის ყველანი.

მაგრამ, კვლავ პოეტისა არ იყოს, ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა? ჰოდა, არც ჩვენ გაგვახარეს: მე, ისევე როგორც ცისფერის (ფერზეა ლაპარაკი) ლამის ყველა დანარჩენი მოყვარულს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ეს მართლაც საოცრად ლამაზი და ნაზი ფერი ჰომოსექსუალისტებმა შემაძულეს!..

გაფურჩქნილი ვარდისფერი ლამაზი, რომ იტყოდნენ გოგოზე, ამაზე უკეთეს ეპითეტს ვინ მოიფიქრებდა!

ამ ბოლო ხანს ეს ფერიც - ლესბოსელთა სინონიმი - შემაძულ-შეგვაძულეს!

ნათელს გასაგები მიზეზების გამო ვერ იტანენ მავანნი, განსაკუთრებით ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფალნი, მათ მიერვე ამ ფერთან ასოცირებულ თვით უგანათლებულეს ადამიანებსაც კი კეთროვანივით რომ უფრთხიან და, უმნიკვლო რეპუტაცია არ შეგველახოსო, იცილებენ... თავიდანაც და სამსახურიდანაც!

თეთრი დენიკინელებთან და, საერთოდ, თეთრგვარდიელებთან ასოცირდებოდა, ყავისფერი და ხაკისფერი - ფაშისტ-ნაცისტებთან, მწვანეს ჩვენი ხელისუფალნი ვერ იტანენ და, რომ შეეძლოთ, „მწვანეებთან“ ერთად მუშტაიდის ბალიდან მარადმწვანე მცენარეებსაც გამოაძევენდნენ (თუმცა ამის კომპენსაციას ახლა იპოდრომზე აპირებენ), ყვითელი ფერი გაფრთხილების სინონიმი, მაგრამ რაკი ჩვენს დღევანდელობაში ჩაშვება ბევრად უფრო მეტ პატივშია, ვიდრე გაფრთხილება და პრევენცია, ეს ფერიც, ფაქტობრივად, უფერულია... მაშ რაღა დარჩა იქიდან, პოეტი რომ ამბობდა, გვაქვს უთვალავი ფერთათა? შავი?

ჩვენს მტერსა და ორგულს ეს ფერი!

ჰოდა, შეგვრჩა კიდევ, ბატონებო, ხელთ უფერო ქვეყანა და გაუფერულებული ყოფა, რომელსაც თვით მომღერალ-მოცეკვავე შადრვენებიც ვერ აფერად-ამრავალფეროვნებენ - დალტონიკივით ისეთ სოფელსა და ვხედავთ, ცნობილ სიმღერაში ბინდისფერად რომ არის აღქმული და სულ უფრო მეტად რომ ბინდდება!

და რახან ეს მართლაც საოცრად კარგი სიმღერა ვახსენე, მისი ტექსტის ორი ტააზი, ჩვენი დღევანდელი ყოფის გათვალისწინებით, გონებაში სრულიად უნებლიედ ასე „გადაპერიფრაზირდა“: სხვა რას მიიღებს ამქვეყნად, ჩვენ არა მიგვიღია რა!

ღმერთო ჩემო, ეს რა გამოვიდა? სიმღერის მიხედვით, რის იმქვეყნად წაღებავთ არის ლაპარაკი, აქ ამქვეყნად მიღებამდე, ანუ ქუჩის პრობლემამდე „ჩამოქვეითდა“?

ვაი, მართლაც უფერო ძვირფასი მოძალაძეთა გაუფერულავალი ყოფა!

და მეორეც: სიმღერის ნაღდ ტექსტში „სხვაში“ ჩვენთან ერთად საიმქვეყნოდ გამზადებული ადამიანები იგულისხმებოდნენ, პერიფრაზირებულში კი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით უცხოტომელებს თუ ვიგულისხმებთ, მათ, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობისგან განსხვავებით (უმცირეს გამოწვევას არ ვგულისხმობ), ყველაფერი მიიღეს, ლეზბობენ და კიდევ მიიღებენ!

მაშინ მით უფრო ჩაბინდისფერებულა ჩვენთვის სოფელი! ახიცი არის ჩვენზე, მის ასეთ „გამხდარ“ მშენებლებს რომ ვგუობთ!

რუსლან რუსია

კანონმდებლობა

დაიმორჩილებან მოციირიქეს?


გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, კანონპროექტი „ეროვნული ბანკის შესახებ“ პირველი მოსმენით განიხილეს. კანონპროექტმა ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია.

კანონპროექტი ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის გაერთიანებას ითვალისწინებს.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის დიმიტრი ქიტოშვილის განცხადებით, აღნიშნული სამსახურების ძირითადი ფუნქცია ფინანსური კონტროლია და სამივე სამსახურის გაერთიანების შედეგად, შეიქმნება ერთი მაკონტროლებელი სამსახური, რომელიც უფრო ეფექტურად განახორციელებს კონტროლს.

ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარის, ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, კანონპროექტის მიღებით მთავრობას სურს, ეროვნულ ბანკზე სრული კონტროლი დაანესოს.

XO-208-360



ჩვენი ადვოკატები დაზღვეულნი იქნებიან

დაზღვევო კომპანიის სხვა წარმომადგენლები...

ბრიფინგზე წარმოადგინეს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას ქართველ ადვოკატთა პროფესიული დაზღვევის სისტემა.

ყურანლისტებისათვის ცნობილი გახდა, რომ კახა ასლანიშვილის ისრაელში ვიზიტის დროს, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საბროკერო კომპანია „მადანესთან“, სწორედ მისი ინიციატივით, ქართულ სადაზღვევო ბაზარზე შემოვა საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „ლოიდო“. შ. მადანესმა აღნიშნა, რომ მრავალრიცხოვან ქართულ კომპანიებს შორის, მათ არჩევანი „აი სი ჯგუფზე“ შეაჩერეს.

პროექტის განხორციელება 2007 წლის 1 დეკემბრიდან დაიწყება. ყველა ადვოკატი, 30 დოლარის სადაზღვევო პაკეტის შესყიდვით, წლიურად დაზღვეული იქნება 20 ათასი დოლარით, მის წინააღმდეგ საჩივრის შეტანის შემთხვევაში.

„ეს იყო ხანგრძლივი და შრომატევადი სამუშაო“, - თქვა ბატონმა კ. ასლანიშვილმა. - კარგა ხანს ვცდილობდით მოგვექმნა კომპანია, რომელიც ხელმისაწვდომ ფასად განახორციელებდა სადაზღვევო რისკების რეალურ დაფარვას.

— ეს არის ძალზე ხელსაყრელი პროექტი ორივე მხარისათვის: მომავალში საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ეცოდინება, რომ ყველა ადვოკატი დაზღვეულია 20 ათას დოლარად და თუ მან რაიმე შეცდომა დაუშვა, ის შეძლებს აუნაზღაუროს კლიენტს ზარალი. შესაბამისად, ადვოკატს უფრო მეტი კლიენტი მიაკითხავს, გაზრდება მისი ჰონორარიც, მოხდება ადვოკატთა კორპუსის ინტერნაციონალიზაცია - საქართველოში შემოსული ინვესტორი აქ აღარ გამოიყოფა, მათ თანხები უცხოელ ადვოკატს. ჩვენი საადვოკატო ბაზარი იქნება ფართო და გახსნილი, რასაც ბევრი სიახლე მოჰყვება. დადებით შედეგებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მთავარი კი მაინც ის არის, რომ საზოგადოებაში ადვოკატისადმი ნდობა გაიზრდება, ამაღლდება მისი ავტორიტეტი...

„ადვოკატობა სახიფათო პროფესიაა, ამიტომ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ზრუნავს თავის თითოეულ წევრზე. ჩვენ კმაყოფილნი ვართ მათთან თანამშრომლობით და ყველაფერს გავაკეთებთ ამ პროექტის განხორციელებისათვის, - აღნიშნა შ. მადანესმა.

ხათუნა ჩიგოვიძე



ქვეყნის მიგრაციის სამსახური

ამტულური თემა

ოპოზიცია: კანონპროექტის „პარტიგანულად“ გაპარება სურთ

ნაციონალური მოძრაობის ინიციატივით, პარლამენტში „თურქი მესხების“ რეპატრიაციის შესახებ კანონპროექტი შევიდა, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოდან იძულებით გადასახლებულ ე.წ. თურქ მესხებს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების საშუალება სამართლებრივად შეეძლება. განაცხადების მიღებას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მომავალი წლიდან დაიწყებს.

ინიციატივაში ჩამოთვლილია იმ დოკუმენტების ნუსხა, რაც იძულებით გადასახლებულებმა საქართველოში დასაბრუნებლად უნდა წარმოადგინონ: გადასახლების დამადასტურებელი დოკუმენტი, იმ ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი პირობების, მუდმივი ბინადრობის ან მოქალაქეობრივი კუთვნილების დამადასტურებელი მოქმედი დოკუმენტი, დაბადების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ოჯახური მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ჯანმრთელობის ცნობა. გან-

აცხადის მიღება 2008 წლის იანვრიდან დაიწყება და ერთი წელი გაგრძელდება. თითოეულ განაცხადს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროები შეისწავლის.

„მხოლოდ მოქალაქეობის ალიკაციების განხილვაზე ვლპარაკობთ, არანაირ სხვა სოციალურ ვალდებულებებზე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, ან რაიმე ტიპის კომპენსაციაზე, ან მატერიალურ დახმარებაზე ამ კანონპროექტში არაფერია ნათქვამი და არც ვვარაუდობ, რომ ეს ასე იყოს“, — განაცხადა უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ.

უმრავლესობაში აცხადებენ, რომ ეს არის ჩვენი ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომელიც საქართველომ ჯერ კიდევ ევროპის საბჭოში გაწევრიანების დროს აიღო. ნაციონალური მოძრაობის ინიციატივას დემოკრატიული ფრონტი ეწინააღმდეგება. გუშინ კონსერვატორებმა ამ საკითხზე ბრიფინგი გამართეს. „ეს არის მოდერნიზაციის კანონპროექტი“, — განაცხადა ზვიად ძიძიგურ-

მა. მისი თქმით, კანონპროექტი საქართველოს ინტერესებს ლახავს. მასში არ არის განსაზღვრული, თუ რამდენი ადამიანი უნდა ჩამოსახლდეს საქართველოში. ძიძიგური არ გამოირიცხავს, რომ მესხეთ-ჯავახეთიდან გასახლებულთა შთამომავლობა შეიძლება მილიონზე მეტი იყოს. კანონპროექტში არაფერია ნათქვამი იმაზეც, თუ სად უნდა ჩასახლდნენ რეპატრიანტები. „თუ ისევ მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა სერიოზული პრობლემები შეიძლება შეექმნას ჩვენს ქვეყანას“, — აცხადებენ კონსერვატორები. მათი აზრით, ამ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, საქართველოში დემოგრაფიული ბალანსი შეიცვლება.

„ეს არის დაკავშირებული საქართველოს ერთ-ერთ საზღვრისპირა რეგიონში, მესხეთში დემოგრაფიული ბალანსის შეცვლასთან. რა გამოიწვია დემოგრაფიული ბალანსის ხელოვნურად შეცვლა აფხაზეთში, რა გამოიწვია დემოგრაფიული ბალანსის ხელოვნურად შეცვლა შიდა ქართლში, რა რისკებს ქმნის ასე ხელოვნურად დარეგულირებული დემოგრაფიული ბალანსი საქართველოში, კარგად არის ცნობილი. ამიტომ ამ კანონპროექტის შემოტანას ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხედ ვაფასებთ“, — ამბობს კახა კუყავა.

ზვიად ძიძიგური კანონპროექტის ავტორებს ბრალს ფინანსურ დაინტერესებაშიც სდებს. პროექტს ევროსაბჭო დააფინანსებს. კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კანონპროექტის ავტორებს ისტორიული სამართლიანობის აღდგენა კი არ აინტერესებთ, არამედ ის „მრავალი მილიონი ევრო“, რაც ამაზე დაიხარჯება.

რეპატრიანთა შესახებ კანონპროექტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში მოსმენას უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის მძაფრი დაპირისპირება მოჰყვა. ჩხუბის მიზეზი გახდა ის, რომ, რეკლამენტის თანახმად, კანონპროექტი პარლამენტში შემოსვლიდან 10 დღის ვადაში ჯერ წამყვანმა კომიტეტმა (ამ შემთხვევაში, იურიდიულმა კომიტეტმა) უნდა განიხილოს. სხვა კომიტეტებმა კი მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განიხილონ და წარმოადგინონ დასკვნა. მაგრამ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გადაწყვიტა, დასკვნის გარეშე ემსჯელა ამ საკითხზე, რასაც ოპოზიციის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. „დემოკრატიული ფრონტი“ მიიჩნევს, ხელისუფლება იმიტომ ჩქარობს, „პარტიზანული წესით“, სასწრაფოდ სურს ამ კანონის მიღება. ცხარე დებატებს უნდა ველოდოთ პარლამენტში მომავალი კვირიდანაც, როცა ამ საკითხის განხილვა კომიტეტში დაიწყება.

დემფრონტელები ამბობენ, რომ ქვეყანას, რომელსაც ამდენი ლტოლვილი ჰყავს, რეპატრიანტების მიღების საშუალება არა აქვს. მათ მიაჩნიათ, რომ რეპატრიანთა შესახებ კანონის მიღება საერთოდ არ არის საჭირო. ხოლო, თუკი თურქ მესხებს საქართველოში დაბრუნება სურთ, დემოკრატიული ფრონტის წარმომადგენლების განმარტებით, მათ ლტოლვილთა შესახებ მოქმედი კანონით უნდა იმოქმედონ.

ზვიად ბაქრაძე

მეზობლებთან

პარტი თუ არა რუსეთის მტერი?

გამოკითხვებმა რუსეთელებმა საქართველოს მეორე „საპატიო“ ადგილი მიაკუთვნეს: 46 პროცენტი გვთვლის არამეგობრულ ქვეყნად. გამოკითხვა კი იური ლევადის ანალიტიკურ ცენტრს მოუწვია.

ამ მხრივ „გადაგვისწრო“ ესტონეთმა — 60 პროცენტის აზრით რუსეთის „მთავარი მტერი“ სწორედ ისაა: ტალინში ბრინჯაოს ჯარისკაცის გადატანასთან დაკავშირებულმა ბაკქანალიამ ტყუილად როდი ჩაიარა. მესამე ადგილზეა ლატვია (36 პროცენტი); არადა შარშან თურმე სწორედ იმას ეკუთვნოდა პირველობა; შემდეგ მოდიან აშშ (35 პროცენტი) და ლიტვა (32 პროცენტი).

რუსეთელთა თითქმის მეთოხედს მტრულად განწყობილი ქვეყნების რიცხვში უკრაინის მოხსენიებაც არ დაუხანებია...

მეგობრებმა ვილას მიიჩნევს? ყაზახეთს (39 პროცენტი), ბელარუსიას (38 პროცენტი); უფრო შორეული საზღვარგარეთიდან — გერმანიას (24 პროცენტი) და ჩინეთს (19 პროცენტი).

...აი, ჯორჯ ბუში კი რუსეთს აშშ-ის მტრად კი არა, მეგობრად ასახელებს (ინტერვიუ ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში)...

რუსული პრესის მიხედვით

იპარტის მხარე

„თქვენ დაიხრციენით და... დასაფლავება ჩვენზე იყოს“

ქუთაისის მერიამ საქმის მსოფლიო ხალხი თავისი საყვარლებით ჩაანახვას!

ქუთაისის საკრებულოს 2007 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები ადგილობრივი ლეიბორისტების ახალი საჯილდო თემა გახდა.

2007 წლის 28 თებერვალს, როცა ქალაქის ბიუჯეტი დამტკიცდა, სოციალური პროგრამებისთვის 1068 ათასი ლარი განისაზღვრა, ხოლო ჯანდაცვისთვის — 432 ათასი. საკრებულოს ლეიბორისტი წევრის სამსონ გუგავას თქმით, მეორე კვარტალიდან ამ პროგრამების მოქმედება შეჩერდა არა მარტო ქუთაისში, არამედ მთელ იმერეთში.

გუგავამ ამ საკითხთან დაკავშირებით ქალაქის მერიისგან წერილობითი პასუხი მოითხოვა და მიიღო კიდევ. ოფიციალურ პასუხში მითითებულია, რომ „დაფინანსება ხორციელდება დამტკიცებული პროგრამების მიხედვით“. იგივეს ახასტურებს ქალაქის საფინანსო სამსახურის უფროსი გიორგი შარაბიძე, რომელმაც ჩვენთან საუბარში განაცხადა: „აღნიშნული ბიუჯეტი მოქმედებს. ჩვენგან რაიმე შეფერხება ან ბრძანება თანხის შეჩერების შესახებ არ არსებობს“.

მიუხედავად ამისა, ქუთაისელი ლეიბორისტების კოორდინატორი ამ პასუხებს სარწმუნოდ არ მიიჩნევს. მისი თქმით, კულუარული ინფორმაციითა და ბენეფიციარების ნაამბობით (რომელთაც, ჩვენი დიდი

სურვილის მიუხედავად, მაინც ვერ შეგვახვედრა) ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეაჩერა აღნიშნული პროგრამების მოქმედება და მისთვის განკუთვნილი თანხა ქალაქის ინფრასტრუქტურის — როგორც უფრო პრიორიტეტული სფეროს რეაბილიტაციისათვის გადაისროლა.

ყოველივე ამაში ბატონი გუგავა პრეზიდენტის რწმუნებულს იმერეთის მხარეში აკაკი ბობოხიძეს ადანაშაულებს, რომელსაც, თურმე, „ფეხი დაუბაკუნეს ზემოდან“ და ამიტომ იქცევა ასე. ბობოხიძესთან ერთად არც ქალაქის მერს ტოვებს უყურადღებოდ და მის იმპრინტზე საუბრობს: „როდესაც ქალაქის მერი ვერ ართმევს თავს მოვალეობას, ბუნებრივია, ის უნდა წავიდეს. ქუთაისში მივეჩვიეთ კიდევ მერების ხშირ ცვლას“. ერთადერთი, რაც ამ ქალაქში „გადასარევად“ მუშაობს, სარიტუალო მომსახურების პროგრამაა. ხელისუფლება ამით ხალხს ეუბნება: „თქვენ მოკვდით და დასაფლავება ჩვენზე იყოს“.

ქალაქის მერის ნიკო კაჭკაჭიშვილის ბრალეულობა მხოლოდ პროგრამების მოქმედების შეჩერებით არ ამოიწურება. მან მოსვლისთანავე წყლისა და დასუფთავების ტარიფები გაზარდა და ისედაც გაუხადლის მდგომარეობაში მყოფი

ფი მოსახლეობა კიდევ უფრო გაასაციოდავა.

შემდგომი ნაბიჯი, რომელიც ახლადარჩეულმა მერმა გადადგა, მერიის რეორგანიზაცია იყო, — აგრძელებს გუგავა. მოლაპარაკების თანახმად 500 თანამშრომლიდან უნდა დაეტოვებინათ 200, თუმცა, დღეს იგივე შენობაში სამასზე მეტი კაცი მუშაობს. პროფესიონალები გაყარა და საკუთარი ნათესავები, ახლობლები, საყვარლები და მეგობრები მოიყვანა.

ყველაზე მძიმე ბრალდება, რომელსაც ლეიბორისტები ქუთაისის მერს უყენებენ, მათივე თქმით, ტენდერებია. „ეს არის ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალება. ის ორგანიზაციები, რომლებმაც შარშან დაწესდა გამომარჯვეს ტენდერებში, „ნაცმომარობას“ აფინანსებდნენ. ასეთი ქმედება მათივე ბიზნესის ხელშეუხებლობის გარანტიას ნიშნავს. შენობაში — აუცილებლად დააპატიმრებენ და გააცემბირებენ“, — აცხადებენ ისინი.

ქუთაისის მერმა მოსალოდნელი იმპრინტის შესახებ ჯერ არაფერი იცის. იგი ამერიკაში იმყოფება მივლინებით და, სანამ ლეიბორისტები მისი „გაურკვეველი ვოიაჟის“ ხარჯებს ბოლო თეთრამდე დაიანგარიშებენ, ალბათ... ჩამოვა.

ციცი ჯინჯინაძე ქუთაისიდან

ინფორმაცია

კუკუ-დაგლოპანას თაგაში

საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრებმა კონტროლის პალატის ხელმძღვანელს ლევან ჭოლაძეს კიდევ ერთხელ უსაყვედურეს. ამის შესახებ გუშინ „დე“ მოკრავთიული ფრონტის წევრმა გიგა ბუჭიაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა. კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში აღნიშნული იყო, რომ კონტროლის პალატის ხელმძღვანელი ლევან ჭოლაძე წლის ანგარიშით უნდა გამოსულიყო, თუმცა, მისი მოხსენებით გამოსვლა გუშინ უკვე გადაიდო. სწორედ აღნიშნული ფაქტი გაამართლეს გიგა ბუჭიაძე და განაცხადა, რომ კონტროლის პალატის ხელმძღვანელი „კუკუ“-დამალობანას თამაშობს.

მანვე აღნიშნა, რომ რაც ლევან ჭოლაძე ამ თანამდებობაზე დაინიშნა, კონტროლის პალატა მთლიანად ჩაიკეტა და იქიდან წერილებზეც არ მოდის პასუხები.

რაც შეეხება ლევან ჭოლაძის მოხსენების გადადგობას, როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვჩანაძემ აღნიშნა, დღის წესრიგი საკმაოდ გადატვირთული იყო და, შესაბამისად, გადაწყვიტეს, რომ ლევან ჭოლაძე მოხსენებით შემდეგ კომიტეტზე გამოვიდეს.

ინტერპრესნიუსი

თუ რუსეთი იბრძვის, აღნიშნავენ ექსპერტები, ის ყველა საშუალებით იბრძვის. არადა დაგიდევეთ ეთიკას, საერთაშორისო ნორმებს. მისი საგარეო პოლიტიკის ასეთი ორმაგი სტანდარტები კი ყოველად საფუძვლიანად გვაფიქრებინებს, რომ ახლაც კვამლი უცეცხლოდ არ იქნება

© ბოლო გვაკვირვებს

არც მთვრალს და არც ფხიზელ ქართველს არაფერი დასიზმრებია

რალა სტრატეგიულად ასე მარჯვე აღვიღოთ აიტუნას აზარაკების მუხეპლობა?



ლი ნორმა და დოკუმენტი კი არა, თვით დღეს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თაობაზე მიღებული ყველა ობიექტური გადაწყვეტილება აქვს დარღვეული. თუ რუსეთი იბრძვის, აღნიშნავენ ექსპერტები, ის ყველა საშუალებით იბრძვის. არადა დაგიდევეთ ეთიკას, საერთაშორისო ნორმებს. მისი საგარეო პოლიტიკის ასეთი ორმაგი სტანდარტები კი ყოველად საფუძვლიანად გვაფიქრებინებს, რომ ახლაც კვამლი უცეცხლოდ არ იქნება. თუ მართლაც არაფერი ამგვარი არა შენდება, ალბათ, უპირიანი იქნებოდა და - სწორედ საერთაშორისო შეთანხმებით, საქართველოს ამის სრული იურიდიული უფლება აქვს - ვითარების ადგილზე შესწავლა შეეთავაზებინათ. ასეთი მარტივი გადაწყვეტილება კი, რაც მათს სიმართლეს თვალნათლივ დაგვარწმუნებდა, შორს დაგვიჭირებს (საქართველოს ინფორმაციით, გალის რაიონში უკვე ჩასულან სათანადო დარგების რუსი სპეციალისტები). თანაც, რალა მინცდაამინც სტრატეგიულად

ასე ხელსაყრელ ადგილზე აუტყდათ „მეაგარაკობა“? სოფელი პრიმორსკოე სტრატეგიულად ისეთ მარჯვე ადგილზეა განლაგებული, რომ იქიდან ერთდროულად კონტროლდება სოხუმისა და გუდაუთის სანაპირო ზოლები. ამიტომაც აცხადებს დაბეჯითებითი საქართველოს პარლამენტის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისია, სეპარატისტულ აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ბაზა შენდება და სპეციალური განცხადებით დაგმო კიდევ ეს ფაქტი. მოსკოვის დაბეჯითებითი, მაგრამ ერთობ საეჭვო მტკიცება, რუსეთის ბაზა არაშენდება, განა, არსსა ცვლის? კი, ბატონო, ნუ ერქმევა რუსეთის ბაზა - აფხაზეთისა ხომ ერქმევა, რაც, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა? მთავარია, ბაზა არ აშენდეს, თორემ მის სახელწოდებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. ისედაც ცხადია, ვისი იქნება ის და ვის წინააღმდეგ მიმართული. **ქონსტანტინე გურგენიძე**

ბაღის რაიონის სოფელ პრომირსკოეში „რალა“ რომ შენდება, თანაც დიდი და მნიშვნელოვანი, აშკარაა. ამას, უპირველესად, თავისდაუნებურად ადასტურებს გალის რაიონის ადმინისტრაციის უფროსი რუსლან ქიშმარია. კი უთქვამს, რომელიღაც მთვრალ ქართველს დასიზმრებია აქ რუსული სამხედრო ბაზის მშენებლობა; ჩვენ ისინი არ გვჭირდება, აფხაზები მშვიდობისმოყვარე ხალხი ვართ, ეგ თქვენ აშენებთ ბაზებს და თხემით-ტერფამდე იარაღებითო, მაგრამ ამ „ფიცის“ ბოლომ მაინც „გაგვაკვირვა“ - დაურთო, თუ ვინმეს აგარაკის მშენებლობა უნდა, მინებს გამოვე-

ყოფთ, იცხოვრონ, გაიხარონო, ანუ ერთი კი არა, ბევრი აგარაკი იგულისხმება. თანაც, ზუსტად ის ადგილები, სადაც, საქართველოს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, სამხედრო ბაზის აშენებაა დაგეგმილი. პრინციპი, ალბათ, ასეთია - ჯერ დავიწყოთ და მერე ვნახოთო. ეს (და ამას ისტორია მრავალგზის ადასტურებს) წმინდა რუსული ფსიქოლოგიაა. მთავარი დაწყებაა. სულ თავიდან, მართლაც ძნელი დასადგენია, რისთვის ჭრიან საძირკვლებს, აგარაკებისა თუ სამხედრო ობიექტისთვის? მით უფრო, რომ ბაზის პერსონალსაც სჭირდება საცხოვრებელი სახლები.

ლი და ყოველდღიურად არღვევს, სახელდობრ, სეპარატისტულ აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, რომ ზემოხსენებული არგუმენტი, ამ შემთხვევაში მაინც, რუსეთის უცოდველობაში ძნელად თუ ვინმეს დაარწმუნებს. მით უფრო, რომ რუსეთს მხოლოდ გაეროს, უეთოსა და ევროკავშირის მრავა-

ლი და ყოველდღიურად არღვევს, სახელდობრ, სეპარატისტულ აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, რომ ზემოხსენებული არგუმენტი, ამ შემთხვევაში მაინც, რუსეთის უცოდველობაში ძნელად თუ ვინმეს დაარწმუნებს. მით უფრო, რომ რუსეთს მხოლოდ გაეროს, უეთოსა და ევროკავშირის მრავა-

ამ ეჭვს აძლიერებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსის პოლკოვნიკ ნიკოლოზ სედოვის არგუმენტიც - ბაზის მშენებლობა გამორიცხულია, რადგანაც ეს საერთაშორისო შეთანხმებას ეწინააღმდეგებაო. მარტივი ლოგიკით, ამ გა-

© ფარული „თავაზები“

ნიკოლაი ზლოზინის საეჭვო მოღვაწეობა

გაჭიანურებული კონფლიქტები უკონტროლო ტერიტორიებზე მრავალი ეჭვისა და მითქმა-მოთქმის საფუძველი ხდება. ამით მავანი სარგებლობს და გვარიანადაც იტობობს ხელს. ხშირად ამ დაინტერესების მიღმა არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებიც დგას. მათ, ხალხების დაახლოებაზე მეტად, პირადი ინტერესები წამოუწევიათ წინ და ამის მიხედვით ჭრიან და კერავენ.

14 ნელინადია საქართველო ამ კონფლიქტების კერაა. ჩვენმა პრეზიდენტმა გაეროს ასამბლეაზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების რამდენიმე ტაპიანი გეგმა წარმოადგინა, რომლის ტექნოლოგიაც საერთაშორისო სამართლის ფარგლებს არ უნდა გასცილდეს. პირველი ეტაპი ორ ხალხს შორის ნდობის აღდგენას გულისხმობს, მეორე - ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ხოლო მესამე ეტაპზე პოლიტიკური სტატუსის საკითხია გათვალისწინებული.

საინტერესოა, ამ პროცესებში რა როლს ასრულებს საერთაშორისო ინსტიტუტები და რამდენად იზიარებს პრეზიდენტის „საგზაო რუკას“?

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი ზურაბ შენგელია ფიქრობს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა ომის შეწყვეტით, კონფლიქტის გაყინვით, მართლაც, უნიკალური როლი შეასრულეს. მიწელდა აქტიური საომარი მოქმედებები.

„გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელი დიტერ ბოდენი აქტიურად იყო ჩართული ხალხების დაახლოების

ვინ აღადგენს ნდობას ქართველებსა და აფხაზებს შორის?

სამართაშორისო ინსტიტუტები თითქმის უმოქმედონი არიან

პროცესშიც. იგი უყოყმანოდ თანამშრომლობდა თუნდაც ჩვენს ინსტიტუტთან პუმანიტარულ საკითხებში. გაეროს ვერტმფრენის გამოყენებით, აფხაზეთის საზოგადოების უამრავი თხოვნა დაგაკმაყოფილეთ: მედიკამენტების ჩატანა გაეროსა და გულრიფშის საავადმყოფოებისთვის, აფხაზი ავადმყოფების ჩამოყვანა თბილისში სამკურნალოდ... მთლიანობაში, იმ დროს ნდობის აღდგენის ეტაპი უკვე დაწყებული იყო.

ბოდენის შემდეგ ჰაიდი ტალიაინი დაინიშნა. საოცარი რალაც მოხდა - ამ პროცესში მოულოდნელად პოლიტიკური ინტერესები ჩაერია. თუ ბოდენ-

ის დროს, რომელიმე დიაბეტიან ავადმყოფს ინსულინს ვუგზავნიდით სოხუმში და მას გაეროს ოფისში აძლევდნენ ნამალს, ტალიაინი და მისი, ასე ვთქვათ, მოადგილე სოხუმში როზა ოტუმბაევა (ეს თანამდებობა ტალიაინის დროს შემოიღეს) გაგზავნილ ნამალს თუ სხვა ნივთს აფხაზეთის ხელისუფალს აძლევდნენ, რომელიც მათ ურეკავდა და გამოგზავნის ვინაობას ეკითხებოდა. ბუნებრივია, მათ შეეშინდათ ურთიერთობების გახმაურება და ამიტომ ეს კავშირები გაძნელდა. უამრავი მაგალითი შემიძლია მოვიტანო, თუ როგორი გამომხაურება ჰქონდა ასეთ

ფაქტებს აფხაზურ საზოგადოებაში.

გაეროს გენერალური მდივნის ახლანდელი წარმომადგენელი ფრანკო, მაგრამ მისი გვარიც არ ვიცით, საერთოდ არა ჩანს. ეტყობა, მისი გავლენა ნელ-ნელა მცირდება, - ამბობს ზურაბ შენგელია.

ბატონი ზურაბი ეჭვობს, რომ რალაც სქემა მუშავდება. „გეხსომებათ, ალბათ, სადაც და მუშავდა კოსოვოს სქემა და შემდეგ ახტისაარის სახელით გახმაურდა. ამ შემთხვევაშიც, საქართველოსთვის რალაც მსგავსი ხომ არ ხდება?“


ზურაბ შენგელია ახლახან „ნუზავისიშია გაზეტაში“ გა-

მოქვეყნებულ ნიკოლაი ზლოზინის სტატიას ასახელებს, რომელიც აფხაზეთის საკითხზე საკუთარ ხედვას, მოდელს გვთავაზობს. ნერილის შინაარსი მოკლედ ასეთია - ვინაიდან აფხაზეთი ვერასდროს დაბრუნდება საქართველოს შემადგენლობაში და საქართველო ამას ვერ შეეგუება, მოდით, იგი ორ - რუსულ და ქართულ ზონად გავყოთ და ორივეში რუსული რუბლი შევიწარმოოთ.

„ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე რუსული წარმოშობის ზლოზინი, რომელიც დიდი ინსტიტუტის დირექტორია და აფხაზეთის თემისთვის არასდროს მიუპყრია საზოგადოებრიობის ყურადღება, მოულოდნელად საკუთარ ხედვას აქვეყნებს. ვფიქრობ, რალაც ხდება.“

საუიუი ბანდანი

ბატონი ზურაბი პრობლემის განხილვას ცოტა შორიდან იწყებს: სერგეი ბალაგუშა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ ქართული და აფხაზური საზოგადოებები ერთმანეთს მხოლოდ ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს, იგივე ქართულ-აფხაზური კომისიის საშუალებით უნდა დაუკავშირდნენო. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში ეს კომისია არცთუ კარგი რეპუტაციით სარგებლობს და პრესაში ხშირად წერენ მის უმოქმედობაზე. ნამდვილად კი რა მოხდა? ეს გადაწყდა, და საქართველოს ხელისუფლებაც დათანხმდა ბალაგუშის წინადადებას. მაშ, მხოლოდ ამ კომისიით, ანუ ერთადერთი სახელმწიფო არხით უნდა დამყარდეს ურთიერთობები ქართველებსა და აფხაზებს შორის?



№ 111. პარასკევი, 15 ივნისი, 2007 წელი.

პროირანული ორიენტაციის უარყოფის თაობაზე გადამწყვეტილება ვახტანგ VI-მ ირანში იძულებით ყოფნის პერიოდში (1712-1719 წწ.) მიიღო. ვახტანგ VI ახალი პოლიტიკური ორიენტაციის ორ შესაძლო ვარიანტს ამუშავებდა: დასავლეთ ევროპულსა და რუსულს



თეიმურაზ I

ისტორია

პრორუსული ორიენტაცია თითქოს დაიწყო უნდა მისცემოდა. მიზეზი საკმარისზე მეტი იყო. მოხდა დაუფერებელი რამ. 1703 წელს ქართლის სამეფოს ჯანიშინად (მმართველად) დანიშნულმა გამაჰმადიანებული გიორგი XI-ის ძმის შვილმა, მომავალმა მეფემ ვახტანგ VI-მ პრორუსული ორიენტაცია ააღიარა და მისი რეალიზებისთვის შეუპოვარი ბრძოლა დაიწყო. ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-ის პრორუსულ ორიენტაციას ვინმე კიდევ შეიძლება რაიმე გამართლება მოუძებნოს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ვახტანგ VI-ზე. ვახტანგ VI-ს ალექსანდრე II-სა და თეიმურაზ I-თან შედარებით გაცილებით უკეთესი პირობები ჰქონდა იმისათვის, რომ კარგად გაეაზრებინა პრორუსული ორიენტაციის ყველა დამატებითი შედეგი, არ გაემეორებინა წინამორბედთა დამატებითი შედეგები. ვახტანგ VI-ს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდა ირანის, ოსმალეთის, რუსეთის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საგარეოპოლიტიკური კურსის, საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ძალთა თანაფარდობისა და მოვლენათა შემდგომი განვითარების, პერსპექტივის თაობაზე. გარდა ამისა, ვახტანგ VI იყო უაღრესად განათლებული ადამიანი, მრავალმხრივ საყურადღებო მოაზროვნე, მკვლევარი, მეცნიერი.

ირანის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში მოკავშირის ძებნა გულუბრყვილობა იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ დასავლეთ ევროპაში დიპლომატიური მისიონით მივლინებული სულხან-საბა ორბელიანი 1715 წელს სამშობლოში ხელცარიელი დაბრუნდა. ამ დროიდან ჯერ კიდევ ირანში მყოფი ვახტანგ VI პრორუსული ორიენტაციის რეალიზებაზე იწყებს ზრუნვას. პრორუსული ორიენტაციის რეალიზების გზაზე პირველი ნაბიჯი რუსეთის ელჩთან არტიომ ვოლინსკისთან ურთიერთობის დამყარება იყო. მეფედ დამტკიცების (1716 წ.) შემდეგ, 1719 წელს, ქართლში დაბრუნებული ვახტანგ VI აქტიურად იღვწის რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დასამყარებლად.

შეეძლო თუ არა რუსეთს ამ პერიოდისათვის (1719-1722 წწ.) აქტიურად ჩარეულიყო სამხრეთ კავკასიის (ალმოსავლეთ

ავსტრია). ეს ომი დასავლეთის ქვეყნებს საშუალებას მისცემდა შეესუსტებინათ რუსეთის პოზიციები ჩრდილო შავი ზღვისპირეთში, ბალკანეთში და რაც მთავარია, ბალტიისპირეთში.

მეოთხე, ჩრდილოეთის ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებებს შეადგენდა: ა) ბალტიისპირეთში განმტკიცება, ბ) მდინარე დნეპრის მარცხენა ნაპირის უკრაინაში დამკვიდრება და მარჯვენა ნაპირის უკრაინის ხელში ჩაგდება, გ) ყირიმის სახანოს ლიკვიდაცია და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში დამკვიდრება, დ) ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეჭრა. სამხრეთ კავკასია, უფრო ზუსტად მისი ალმოსავლეთი ნაწილი, არ შედიოდა რუსეთის სტრატეგიული დაინტერესების სფეროში. 1722 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარების შეჭრა კასპიის-

სეფიანი შაჰების დინასტია შეწყდა, თუმცა ქართლისათვის ამას შეეშალა არ მოუტანია. 1722 წლის მინურულსა და 1723 წლის დამდევს ქართლის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ეს განპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით: პირველი. პეტრე I-მა კასპიისპირეთში დაწყებული ლაშქრობა მალევე, 1722 წელსვე, შეწყვიტა; მეორე. ირანის შაჰი ვახტანგ VI-ის დასასჯელად ჯარებს აგროვებდა; მესამე. რუსეთის გააქტიურებითა და პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის სამხედრო-პოლიტიკური კავშირით შემოფოთებული ოსმალეთიც ქართლის სამეფოში შესაქრელად ემზადებოდა. მეოთხე. პროირანული ორიენტაციის კახეთის მეფე კონსტანტინე ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა და ირანის შაჰის დახმარებით ქართლის ტახტის ხელში ჩაგდებას გეგმავდა; მეხუთე. თბილისში მდგარმა ირანის გარნიზონმა შაჰის ბრძანებით ქალაქს ცეცხლი დაუშინა; მეექვსე. 1723 წლის გაზაფხულზე ირანის შაჰის თანადგომით, ლეკთა, განჯისა და ერევნის ხანების ჯარების დახმარებით კახთა მეფე კონსტანტინე თბილისი დაიკავა; მეშვიდე. 1723 წლის ივნისში ოსმალეთის ჯარები თბილისს მოადგნენ და ქალაქი აიღეს. კონსტანტინე ვახეთს შეაფარა თავი.

ვახტანგ VI-ს პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის დამატებითი შედეგები ნათელი იყო. 1724 წელს ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა. პეტრე I ამიერკავკასიის ახალ მფლობელს სწრაფად მოურიგდა. 1724 წლის 12 ივლისს, როდესაც ვახტანგ VI ჯერ კიდევ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სტამბოლში რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება დაიდო. რუსეთმა აღიარა ოსმალეთის უფლებები ალმოსავლეთ ამიერკავკასიაში. შემდგომში რუსეთი ირანსაც მოურიგდა.

ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ ვახტანგ VI-ის შემდეგ საქართველოში პრორუსული ორიენტაცია დაიწყებოდა მისცემოდა. ასეც მოხდა. 1744 წელს ირანის შაჰმა ნადირმა (1736-1747 წ. წ.) ქართლის ტახტი კახთა მეფის კონსტანტინეს ძმას, თეიმურაზ II-ს, ხოლო კახეთისა თეიმურაზის ვაჟს, ერეკლეს II-ს უბოძა. ნადირ-შაჰი ჭკვიანი პოლიტიკოსი იყო. შაჰის მიზანს შეადგენდა პრორუსული ორიენტაციის აღკვეთა: მომავალში ქართლისა და კახეთის სამეფოები რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ფორტოსტად არ უნდა ქცულიყო. ამიტომ იყო, რომ ნადირ-შაჰი დათმობებზე წავიდა. შაჰმა ქართლის სამეფო ტახტი კახეთის ბაგრატიონებს უბოძა. ამასთან ერთად, თეიმურაზსა და ერეკლეს უფლება მისცა ტახტზე ქრისტიანული წესით ასულიყვნენ.

ვახტანგ VI-ს პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის დამატებითი შედეგები ნათელი იყო. 1724 წელს ვახტანგ VI რუსეთში გადაიხვეწა. პეტრე I ამიერკავკასიის ახალ მფლობელს სწრაფად მოურიგდა. 1724 წლის 12 ივლისს, როდესაც ვახტანგ VI ჯერ კიდევ ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სტამბოლში რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება დაიდო. რუსეთმა აღიარა ოსმალეთის უფლებები ალმოსავლეთ ამიერკავკასიაში. შემდგომში რუსეთი ირანსაც მოურიგდა.

ვახტანგ ბურული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
(ბაბრქაძე იმეზა)

პრორუსული ორიენტაციის ალტერნატივა

ამიერკავკასიის) საქმეებში და ქართლის სამეფო ირანის ბატონობისაგან გაეთავისუფლებინა? ჩვენი აზრით, რუსეთი მზად არ იყო სამხრეთ კავკასიაში ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს გაპირობებული იყო შემდეგი მიზეზებით:

პირველი. ჩრდილოეთის ომ-

პირეთში მხოლოდ ვითარების დაზვერვას ისახავდა მიზნად და არა რეგიონიდან ირანის განდევნას.

ვახტანგ VI-ის მიერ პეტრე I-თან ირანის წინააღმდეგ სამხედრო პოლიტიკური კავშირის შეკვრა (1722 წ.) სტრატეგიული შეცდომა იყო. პროირანული ორიენტაცია ალმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის იმპერიის პასიური პოლიტიკის პირობებში ერთადერთი სწორი ორიენტაცია იყო. ვახტანგ VI-ს თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა ავღანელების შეტევის შედეგად ირანში შექმნილი უმძიმესი ვითარება. ქართლის მეფე კი პირიქით მოიქცა. 1722 წლის მარტში შაჰმა ავღანელებთან ბრძოლაში დაღუპული რუსტომის (ვახტანგ VI-ის ძმის) ნაცვლად თავის გვარდიის სარდალად ვახტანგის ვაჟი ბაქარი დანიშნა და იგი ქართლის ჯართან ერთად სასწრაფოდ ირანში დაიბარა. ბაქარმა ჯარი შეკრიბა და ირანისკენ დაიძრა, მაგრამ ვახტანგ VI-მ შვილს შაჰისათვის დახმარების აღმოჩენა აუკრძალა.

ბაქარი მამას კომპრომისულ ვარიანტს სთავაზობდა: ქართლის სამეფოს ჯარის ნაწილი, ვახტანგ VI-ისა და პეტრე I-ის მოლაპარაკების თანახმად, კასპისპირეთში შეჭრის სახიფათოდ ჯარს შეერთებოდა, ხოლო ნაწილი ავღანელების წინააღმდეგ ირანის შაჰს მიშველებოდა. სამეფო დარბაზის წევრთა ნაწილი რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს სახიფათოდ მიიჩნევდა და პროირანული ორიენტაციის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. ვახტანგ VI-მ რჩევა არ გაითვალისწინა. მეფეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი პროირანული ორიენტაციის ერთხელ და სამუდამოდ უარყოფა. ამასობაში ავღანელებმა ისპაჰანი აიღეს.

ში (1700-1721 წწ.) გამარჯვებით მართალია რუსეთმა ბალტიისპირეთი მიიღო, მაგრამ ხანგრძლივმა ომმა ქვეყნის ეკონომიკას ძლიერი დარტყმა მიადანია. ახალი დიდი ომის დაწყება რუსეთს აღარ შეეძლო.

მეორე. რეალურად რუსეთის იმპერიასა და ქართლის სამეფოს ერთობლივი მოქმედებით ალმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანის განდევნა შეეძლო, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გაბატონებას არასგზობით არ დაუშვებდა ოსმალეთი. ოსმალეთთან ომი კი რუსეთისთვის ძნელი და ხანგრძლივი იქნებოდა.

მესამე. სამხრეთ კავკასიაში დაწყებულ რუსეთ-ოსმალეთის ომს თავის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი,



ვახტანგ VI



ბაქარი I

ამუშავებდა: დასავლეთ ევროპულსა და რუსულს. დასავლეთ ევროპის ქვეყნები იმხანად ირანის გაძლიერების პოლიტიკას ადგენენ. ასეთი პოლიტიკა განაპირობა ობიექტურმა ვითარებამ. ოსმალეთი, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, დიდ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. ირანი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელსაც აზიში აქტიური საბრძოლო მოქმედებებით შეეძლო ოსმალეთის ძალების მიზიდვა და ამით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის მდგომარეობის შემსუბუქება.

ცხადია, ასეთ ვითარებაში

ბაბრქაძე ი. დასაწყისი
სს. „სრ“ № 110.

№ 111. პარაკლიტი. 15 ივნისი, 2007 წელი.

ინფორმაცია

შენობა საპატრიარქოს უნდა დაუბრუნდეს!

საპატრიარქოს საპატრიარქო მეცხრე საავადმყოფოს ერთერთი შენობის გადაცემას ითხოვს.

საქართველოს საპატრიარქო მიიჩნევს, რომ ის შენობა, სადაც დღეისთვის სალოცველოა, საპატრიარქოს კუთვნილებს უნდა იყოს.

წინასწარი ინფორმაციით, ამ საკითხზე ეკონომიკის სამინისტროსთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის, მამა მიხეილ ბოტკოველის განცხადებით, შენობა საპატრიარქოს კუთვნილებას წარმოადგენს და ამის დასამტკიცებლად უამრავი დოკუმენტი არსებობს.

მისივე თქმით, შენობაში შესვლისას ადამიანი დღესაც მიხვდება, რომ ეს რელიგიური დაწესებულების ყოფილი შენობაა. თავისი გარეგნული ატრიბუტიკით იგი ეკლესიურ დაწესებულებას წარმოადგენს.

„თუ ჩვენ კანონიერ და სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ და კანონის უზენაესობას ვაღიარებთ, მაშინ ეს ქრება ეკლესიის უნდა დავუბრუნოთ. ჩვენ განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ. ეს განსაზღვრა ქართველმა ერმა და ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად ის დაწესებულებები, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, კიდევ წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებებს, ეტაპობრივად უნდა დაუბრუნდეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას“, - აცხადებს მამა მიხეილ ბოტკოველი.

უფლებები პეტაპობრივად მოიხსნება

რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს ევგენი პრიმაკოვს მიანიჭა, რომ შეზღუდვები რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებში ეტაპობრივად მოიხსნება. ამის შესახებ მან გუშინ თბილისში ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, რუსული მხარე თბილისში კონკრეტული საკითხების განსახილველად ჩამოვიდა.

ამასთან, პრიმაკოვი საქართველოს ექს-პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდა, მოინახულა პირველი მუხლის საფლავი საბურთალოს სასაფლაოზე.

პრიმაკოვი, დსთს ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატების პრეზიდენტებთან ერთად, თბილისში შეხვედრებს 3 დღის განმავლობაში გამართავს.

დსთს ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატების ხელმძღვანელთა საბჭოს მე-5 პლენარული სხდომა დღეს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართება.

ინტერპრესნიუსი

„ეს ყველაფერი კი იმის ეჭვს ბადებს, რომ ნებისმიერ გაყინულ კონფლიქტს აქვს თავისი ბიზნესი და ეკონომიკა. ამიტომ მათთვის უკეთესია, რომ მის მოგვარებაზე ხალხის რაც შეიძლება ვინრო წრე ზრუნავდეს...“

© ფარული „თაბაზები“

ვინ აღადგენს ნდობას ქართველებსა და აფხაზებს შორის?



(გეორგი ბერელოვი)

ზურაბ შენგელიას აზრით, საზოგადოებრივ ურთიერთობებს უკვე ხელისუფლება არეგულირებს, რაც, ბუნებრივია, კარგი არ არის. „დღევანდელთან შედარებით, უნინ საზოგადოების ფართო არეალი იყო ჩაბმული პროექტების მომზადებაში, ახლა ეს ყველაფერი შეიზღუდა. ყველა კომისიაში სახელმწიფო წარმომადგენელია, ანუ საერთაშორისო ორგანიზაციების რაღაც ჯგუფი შეიკრა, რომელიც წყვეტს საკითხებს, და ეს ჯგუფი ოფიციალურ ექვემდებარება. ეს ყველაფერი კი იმის ეჭვს ბადებს, რომ ნებისმიერ გაყინულ კონფლიქტს აქვს თავისი ბიზნესი და ეკონომიკა. ამიტომ მათთვის უკეთესია, რომ მის მოგვარებაზე ხალხის რაც შეიძლება ვინრო წრე ზრუნავდეს...“

ბატონ ზურაბს, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების შემცირების ფონზე, საშიშტენდენციად მიაჩნია ნიკოლაი ზლობინის სტატია და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მოდელის შემოთავაზება.

„კოსოვოს მოდელის გადმოტანის კი არ მეშინია, არამედ იმის, რომ გარკვეული წრეები უჩვენოდ მუშაობენ, რაღაცებს აკეთებენ არა მხოლოდ ჩვენგან, არამედ აფხაზებისგან დამოუკიდებლად. ამის მაგალითია აფხაზეთის უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ დოკუმენტის შექმნა, რომელიც დიდი ბრიტანეთის ორგანიზაციამ – „შერიგების რესურსებმა“ დააფინანსა. როდესაც სხვა ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაცია აფინანსებს ასეთი დოკუმენტის შექმნას, ეს უკვე პოლიტიკაში შეჭრია.“

ყველაზე უფრო საშიში ის გახლავთ, რომ სწორედ ახლა გამოჩნდა ნიკოლაი ზლობინის მოდელი, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობა საგრძნობლად შემცირებულია. ჩვენ ფაქტის წინაშე შეიძლება დავდგეთ, ფაქტის წინააღმდეგ ბრძოლა კი გაცილებით ძნელია.“

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორს საგანგაშოდ მიაჩნია, რომ კონფლიქტის მოგვარებაში ხშირად პარტიული ინტერესები დომინირებს. საქართველოში არსებული ყველა გერმანული ფონდი რომელიც პარტიის ყოფილა. ებერტის ფონდი – სოციალ-დემოკრატების, ნეიმანის – ლიბერალ-დემოკრატების... „ნეიმანის ფონდმა და რესპუბლიკურმა პარტიამ ერთობლივი შეხვედრა გამართეს. მასზე ფონდის წარმომადგენელმა პირდაპირ განაცხადა, რომ ისინი ემხრობიან გლობალიზაციის პროცესს, მისი პოპულარიზება უნდათ სამხრეთ კავკასიაში და სწორედ გლობალიზაციის პოპულარიზებით აპირებენ კონფლიქტების მოგვარებას. სასაცილო არ არის? თავიდანვე უმართებულო მიდგომაა. თუნდაც, „შერიგების რესურსების“ მიერ დაფინანსებული დოკუმენტი ავიღოთ, აფხაზეთის უფლებამოსილების შე-

სახებ. ხომ ცხადია, რომ ვინც აფინანსებს, მთავარი დამკვეთი ის არის. ამ საკითხში ვაჭრობა ჩემთვის მიუღებელია.

ახლა, როდესაც პირველ ნდობის აღდგენის ეტაპზე ვართ, აფხაზეთის სტატუსზე რატომ ამხავილებენ ყურადღებას? პოლიტიკურის წინ წამოწევა ხომ ხელს უშლის ნდობის აღდგენას? ისე უკან დავბრუნდეთ და დამაბულობა შევინარჩუნოთ?“

მართლაც, საკითხავია, რა ხდება კონფლიქტურ რეგიონებში ხალხებს შორის ნდობის აღდგენის თვალსაზრისით? თუ ნდობა უნდა აღდგეს, მაშინ რატომღა დამუხრუჭდა ხალხებს შორის ურთიერთდაახლოების პროცესი? ზურაბ შენგელიას თქმით, აფხაზეთში ჩასვლისა და იქიდან ჩამოსვლისთვის ნებართვის აღებაა საჭირო. „ყველა ნიუანსში გართულდა. მხოლოდ დაფინანსებას არ ვგულისხმობ. იმათ აშინებენ ჩვენთან ურთიერთობით. რადგან კონფლიქტის მოგვარების სახელმწიფო რეგულირება დაიწყო, ეს პროცესი ცენ-

ტრალიზებულია და ამას ჩვენი ხელისუფლებაც უწყობს ხელს.“

ამ გამკაცრების გამო, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციები ფაქტობრივად, უმოქმედოდ დარჩა. ფონდების, მათ შორის ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ პროექტები ამ თვალსაზრისით პრაქტიკულად აღარ იქმნება... მაშინ, ისმება კითხვა, ასეთ ვითარებაში ვინ უნდა აღადგინოს ნდობა? ერთადერთმა საკოორდინაციო საბჭომ თუ კომისიამ, რომლის საქმიანობაც, აფხაზურ პრესას თუ დაუფუერებთ, საიდუმლოებით არის მოცული და თქმის არაფერს აკეთებს?

ზემოთქმულიდან ერთი რამ შეგვიძლია დავასკვნათ – შეაძლოა, რაღაც ერთი ჯგუფი, პირადი გამორჩენის გამო, აკონტროლებდეს მთელ ამ ვითარებას, საქართველო კი ამ პოლიტიკურ თამაშებს ემსხვერპლოს.

თაბარ ზაიშვილი

© დასაქმების პროგრამა – 2007

საკონკრეტო შეჩვევით და ქონაბრძოლი გარანტიებით

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გამოაქვეყნა 2007 წლისთვის დასაქმების პროექტი, რომელიც ტურიზმის სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას და, ამ გზით, სამუშაო ადგილების შექმნას ითვალისწინებს. მკითხველს შეეახსენებთ, რომ ეს საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის მიერ შარშან გამოცხადებული დასაქმების სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპია, რომელიც წლეულს, 18 ივნისს დაიწყება.

დასაქმების პროგრამის პრეზენტაციისას, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და სს „პროკრედიტ ბანკ“ შორის გაფორმდა სათანადო მემორანდუმი, რომლის მიხედვით, მხარეებმა, დასაქმების პროგრამის ფარგლებში, გამოთქვეს თანამშრომლობისთვის მზადყოფნა მისი წარმატების განსახორციელებლად. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემებით, დასაქმების პროგრამის მიზნებია:

- რეგიონალური ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა და ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა;
- მოსახლეობის დასაქმების ზრდა;
- ტურიზმის სექტორში მცირე ბიზნესის და, განსაკუთრებით, ოჯახური მეურნეობის მხარდაჭერა, ასევე მათი განვითარების ხელშეწყობა;
- ტურისტულ ბიზნესში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

• დროებითი საცხოვრებელი ადგილებით უზრუნველყოფა (კერძოდ, მცირე ზომის სასტუმროები და ა. შ.);

• ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობის პოპულარიზება (კერძოდ, კემპინგების ქსელის შექმნა, ჯომარდობის, ცხენოსნობის განვითარების ხელშეწყობა და სხვ.);

• მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა.

პროგრამის განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობამ სს „პროკრედიტ ბანკი“ შეარჩია, რომელიც სახელმწიფო საკრედიტო რესურსის სახით ხუთ მილიონ ლარს გამოყოფს, რომელსაც ტურიზმის სფეროში მოღვაწე მცირე საწარმოების დასაფინანსებლად გამოიყენებს. საგულისხმოა, რომ ბენეფიციარ (ანუ მიმღებ) მცირე საწარმოთათვის კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი 12 პროცენტია, რაც სადღეისოდ არსებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. აღსანიშნავია ისიც, რომ კრედიტები – ათასიდან ხუთათას ლარამდე ოდენობით – ხუთი წლის ვადით გაცემა და მისი მიმღები ის იქნება, ვინც ბანკს საუკეთესო ბიზნეს-იდეას წარუდ-

გენს, რაც, ფაქტობრივად, კონკურსს ნიშნავს. სამინისტროში აცხადებენ, რომ უპირატესობა მიენიჭება იმ პროექტებს, რომელიც ხელს შეუწყობს შესაბამის რეგიონებში ტურიზმის განვითარების პროცესს. კიდევ ერთი პირობა ის გახლავთ, რომ თითოეულმა განმცხადებელმა ბანკს უნდა დაუმტკიცოს, რომ კრედიტის დაფარვას შეძლებს.

სიმართლე გითხრათ, ბანკის პირობები, კერძოდ, ერთგვარი „საკონკურსო“ შერჩევა და გარკვეული ქონებრივი გარანტიების მოთხოვნა (აბა, კაცს თავისი ფული რომ ჰქონდეს, ბანკს რატომ მიაკითხავს) დასაქმების სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპში მონაწილე სუბიექტების თვალსაზრისით ერთნაირ სასტარტო პირობებში ყოფნა, ეჭვს ბადებს.

აღსანიშნავია, რომ 4 მილიონი ლარი ან სახელმწიფო საკრედიტო რესურსის უმეტესი ნაწილი, მიმართული იქნება მცირე ბიზნესისა და ოჯახური მეურნეობებისთვის დახმარების გასწევად, რომლებიც ამჟამად ტურიზმის სფეროში საქმიანობენ და დამატებითი ფულადი სახსრები ესაჭიროებათ. გარდა ამისა, პროგრამა გამოზრდილია ისეთი მცირე საქმიანობებისთვის დახმარების გასწევად, რომელიც აქვთ ბიზნესის წარმოების (მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, წარმოებაში), რომლებსაც საკუთარი ბიზნესის განვითარება აგრეთვე ტურიზმშიც სურთ.

უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმის დაკრედიტებაზე გამოყოფილი მთლიანი თანხიდან, მილიონი ლარი საწარმოებისთვის დახმარებაში გამოიყენება. ამასთან, დაისტამბება საარეკლამო ბროშურები, ვებგვერდი, სადაც ჩამოთვლილი იქნება ყველა ის ტურისტული ობიექტები, რომელიც დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კრედიტს მიიღებს.

განგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაკრედიტებული მცირე საწარმოების რეკლამირებისა და ტურიზმის ინდუსტრიაში სწრაფი ჩართვის მიზნით, კრედიტის მიმღებებს ძველ ტურისტულ ოპერატორებს წარუდგენენ, ასევე საინფორმაციო ტურებსაც გამართავენ ადგილობრივი და უცხოელი ყურნალის ტურისტებისთვის. ამასთან, დაისტამბება საარეკლამო ბროშურები, ვებგვერდი, სადაც ჩამოთვლილი იქნება ყველა ის ტურისტული ობიექტები, რომელიც დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კრედიტს მიიღებს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მოსარჩელები: იზოლდა (დოდო) ლაზარაშვილი, გიორგი მალალაშვილი, თენგიზ მალალაშვილი, ტატიანა გამბაროვა, ნელი ტოროსიანი. მოპასუხეები: ზაზა მინდიაშვილი, გია ზუბაშვილი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლეილა არსოშაშვილმა შ. ელერდაშვილის მდივნობით, მთავარ სასამართლო სხდომაზე, განიხილა სამოქალაქო საქმე მოსარჩელების იზოლდა ლაზარაშვილის, გიორგი მალალაშვილის, თენგიზ მალალაშვილის, ტატიანა გამბაროვას და ნელი ტოროსიანის სარჩელისა გამო მოპასუხეების ზაზა მინდიაშვილის და გია ზუბაშვილის მიმართ სესხის დაბრუნების შესახებ.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე გამოცხადდნენ მოსარჩელები იზოლდა (დოდო) ლაზარაშვილი, გიორგი მალალაშვილი, ტატიანა გამბაროვა, ნელი ტოროსიანი, თენგიზ მალალაშვილის წარმომადგენელი გიორგი მალალაშვილი. არ გამოცხადდნენ მოპასუხეები, რომელთაც უნებურა ჩაბარდათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად, მოსარჩელებმა იშუამდგომლეს სასამართლოს წინაშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელში მითითებული გარემოებები სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა სარჩელში მითითებული და დამტკიცებულია ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები და გააკეთა დასკვნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 625-ე მუხლების თანახმად, ეს გარემოებები ამართლებენ იურიდიულად მოსარჩელეთა მოთხოვნას. სასამართლომ

და ა დ გ ი ნ ა:

დაკმაყოფილდეს მოსარჩელების სასარჩელო მოთხოვნა, რადგან სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებენ ამ მოთხოვნას; მოპასუხეებს ზაზა მინდიაშვილს და გია ზუბაშვილს დაეკისროთ მოსარჩელებს:

- 1) იზოლდა (დოდო) ლაზარაშვილის სასარგებლოდ 5086 (ხუთათას ოთხმოცდაექვსი) აშშ დოლარი;
- 2) გიორგი მალალაშვილის სასარგებლოდ 1414 (ათას ოთხას ოთხმეტი) აშშ დოლარი;
- 3) თენგიზ მალალაშვილის სასარგებლოდ 1414 (ათას ოთხას ოთხმეტი) აშშ დოლარი;
- 4) ტატიანა გამბაროვას სასარგებლოდ 1768 (ათას შვიდას სამოცდარვა) აშშ დოლარი;
- 5) ნელი ტოროსიანის სასარგებლოდ 2192 (ორი ათას ას ოთხმოცდაათორმეტი) აშშ დოლარი;

მოპასუხეებს გადახდეთ სახელმწიფო ბაჟი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 504 (ხუთას ოთხი) ლარი და 65 თეთრი. განემარტოთ მოპასუხეებს, რომ მათ შეუძლიათ შეიტანონ საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში ამ გადაწყვეტილებაზე 10 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მათ გადაეცემათ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს (236-237-ე მუხლებით).

მოსამართლე ლეილა არსოშაშვილი

შპს ტიხსკი „ილვა“ აცხადებს აუქციონს სანარმოს ბალანსზე რიცხული ფართის იჯარით გაცემაზე პირველ სართულზე გამოთავისუფლებული 12 მ² (თორმეტი) ზე და სავაჭრო ჯიხურის ჩასადგმელ 6 მ² (ექვსი) ადგილს.

საწყისი საიჯარო ქირა შეადგენს ხუთ ლარს 1 მ²-ზე დღგ-ს და კომუნალური გადასახადების გარეშე.

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 29 ივნისს 14 საათზე ჯიქიას ქ. №10-ში. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2007 წლის 28 ივნისი. საკონტაქტო ტელეფონი - 30-51-95.

სანარმოს ღირამცია

საბაძციო საზოგადოება „საძვითმერაფის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება ჩატარდება 2007 წლის 6 ივლისს 12 საათზე ადმინისტრაციულ შენობაში: ქ. თბილისი, მაიაკოვსკის ქ. №7.

დღის წესრიგი:

1. დირექციის ანგარიში 2006 წლის საქმიანობის შედეგებზე;
2. სამეურნეო-საფინანსო საკითხების განხილვა. სააღრიცხვო დღედ დადგინდა 2007 წლის 15 ივნისი.

ღირამცია, სამეთვალყურაო საბჭო

ინფორმაცია

მს ნაპარცვი ფულის გათავისების სურვილი

საქართველოს კონსტიტუციური პარტია ეროვნული ბანკის ბაზაზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის შექმნის გა-

დაწყებით მთავრობის წარმომადგენლების მიერ ნაპარცვი ფულის გათავისების სურვილს უკავშირებს.

ამის შესახებ კონსტიტუციულმა პარტიამ შენიშვნა ახალი საქვეუწყებო დაწესებულების შექმნის თაობაზე კანონპროექტს დაურთო და გუშინ საორგანიზაციო დეპარტამენტს ჩააბარა.

როგორც შენიშვნაშია ნათქვამი, ამ კანონპროექტის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს, მთავრობამ მოახდინოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საქმიანობის უზურპაცია და უახლოეს პერიოდში საქართველოს მოსახლეობის მიერ გადახდილი საბიუჯეტო თანხები და უცხოეთში ნაპარცვი ფულის გათავისება შეძლოს.

რაც შეეხება ახალი საქვეუწყებო დეპარტამენტის სავარაუდო ხელმძღვანელს, დეპუტატების განცხადებით, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ სამსახურის უფროსად, შესაძლებელია, დაინშნოს გიორგი ქადაგიძე, რომელიც ამჟამად გენერალურ პროკურატურაში ერთ-ერთი დეპარტამენტის უფროსად მუშაობს.

ეს ადამიანი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მაშინ, როდესაც ეროვნულ ბანკში საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა საქართველოს ბანკის მიერ „ინტელექტუალური“ შესყიდვის პროცესში.

ამ საეჭვო გარიგების შემდეგ იგი ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ გაათავისუფლა თანამდებობიდან, - აღნიშნა ბიძინა გუჯაბიძემ და დასძინა, რომ რომან გოცირიძესთან წარსული დამოკიდებულების გამო სრულიად გასაგებია, თუ რა ქმედებებს განახორციელებს იგი ეროვნულ ბანკში დაბრუნების შემდეგ.

დაკავალბამ პიკს მიაღწია

კომპანია „კავკასუს ონლაინ“ „ახალ ქსელებსა“ და „გაერთიანებულ ტელეკომს“ კანონის დარღვევაში ადანაშაულებს.

როგორც „კავკასუს ონლაინის“ პრესსამსახურში აცხადებენ, ბოლო დროს არსებულმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია.

მათი ბრძოლის მეთოდები იდენტურია. ორივე კომპანია უხეშად იყენებს იმ ბერკეტებს, რომლებიც მათ როგორც მონოპოლისტებს და მნიშვნელოვანი ძალის მქონე ოპერატორებს აქვთ, - აცხადებენ კომპანიაში.

მათივე ინფორმაციით, ორივე კომპანია „კავკასუს ონლაინს“ სატელეფონო სადგურებში შესვლის უფლებას არ აძლევს, ბოლო დღეების განმავლობაში კი 53 ინდექსის სატელეფონო სადგურში რამდენჯერმე გაითიშა „კავკასუს ონლაინის“ აპარატურა. ამ ფაქტის გამო 1000-მდე აბონენტს ინტერნეტი არ მიენიჭებოდა.

ახალი ქსელები აპარატურას სპეციალურად თიშავს, აგდებს ინტერნეტის ხარისხს, რომ ჩვენი კომპანიის მომხმარებლები თავისკენ მიიზიდოს. მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ჩვენს კიდევ ერთ ოპერატორს 8-07-ს, - აცხადებენ „კავკასუს ონლაინის“ წარმომადგენლები.

მათივე თქმით, „გაერთიანებული ტელეკომი“ მონოპოლისტის ბერკეტებს იყენებს და არ უშვებს პროვიადერებს საკომუნიკაციო კვანძებთან.

აზრიკულა ცხელბამ პარკული უაღწია

ძარბაისის რაიონის სოფელ სალოლაშენში, კერძო ფერმერულ მეურნეობაში სამოცამდე სული ღორი დაეცა.

ფერმერული მეურნეობის მეპატრონე ვარაუდობს, რომ ღორების სიკვდილიანობა საქართველოში გავრცელებულმა ვირუსულმა დაავადებამ აფრიკულამ ცხელებამ გამოიწვია.

მან ვეტერინარებს უკვე მიმართა, თუმცა ლაბორატორიულ დასკვნამდე ისინი ვერ აკონკრეტებენ, თუ რამ გამოიწვია პირუტყვის დაცემა, ეს იყო აფრიკული ცხელება თუ ღორის ჭირი.

სალოლაშენის მოსახლეობა ვეტერინარებისგან დახმარებას ითხოვს.

ტრაბეღია აეროპორტის გზაზე

თბილისში, აეროპორტის გზაზე მომხდარ ავტოავარიას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალი „ბმვ“-ს მარკის ავტომანქანა რკინის ბოძს შეეჯახა, რის შედეგადაც 23 წლის ნათია კუპრაშვილი და 24 წლის ნოდარ ნიშნიანიძე დაიღუპნენ.

დააკავს „გონიოს“ ღირებულება

შეიშალა სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინ შპს „გონიოს“ დირექტორი კობა ჭუბაბრია დააკავეს.

ჭუბაბრიას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მითვისება ედება ბრალად.

შპს „გონიო“ წყალტუბოს რაიონის გამგეობის დაკვეთით 2006 წელს პოლიციის შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ახორციელებდა.

დაკავებულს, სავარაუდოდ, გირაოს სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის გადახდა მოუწევს.

ინფორმაციისთვის ლა 10-306-360-ს მიხედვით

განცხადება

ძ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია, ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 26 ივნისის (საქმე №2/811-01) სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია განმეორებით აუქციონს, რომელზედაც გასაყიდად გამოტანილი იქნება სს „ელექტროშედულების“ (ს/ნ 204380044; იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №36) ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №36-ში მდებარე, დაყადაღებული ქონება: 1. მიწის ნაკვეთი 45 160 კვმ; 1 კვმ. - 15 ლარი; სულ 677 400 ლარი; 2. შენობა-ნაგებობები (11 დასახელება) - 135 750 ლარი; 3. მანქანა-დანადგარები (4 დასახელება) - 16 520 ლარი; 4. ნედლეული და მოწყობილობანი (91 დასახელება) - 83 515 ლარი; 5. ინსტრუმენტები და მოწყობილობანი (89 დასახელება) - 1 558 ლარი; 6. მანქანიკური მარაგ-ნაწილები (195 დასახელება) - 1 469 ლარი. სულ აუქციონზე გასაყიდი ქონების საწყისი საერთო ღირებულება შეადგენს 916 212 (ცხრასათექსმეტი ათას ორასთორმეტი) ლარს, შპს „აუდიტ-ცენტრის“ 2005 წლის 28 ნოემბრის №377/5 შეფასების მიხედვით. აუქციონი გაიმართება 2007 წლის 28 ივნისის დღის 11 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. №8, თბილისის საგადასახადო ინსპექციის შენობა.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შექენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

მსურველები, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდნენ ყოველდღე 2007 წლის 27 ივნისის 18 საათამდე, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში ან შემდეგ ტელეფონის ნომერზე 77-28-61.

ინსპექციის უფროსი ბ. კარვალაშვილი

განცხადება

ძ. თბილისის საგადასახადო ინსპექცია, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრირულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 14 თებერვლის (საქმე №3/4471-06) სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს სპეციალიზებულ ღია პირველ აუქციონს, რომელზედაც გასაყიდად გამოტანილი იქნება ი/ს „ნადეჟდა ვესიოლოვას“ (ს/ნ 106149944, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ვარკეთილის III, მე-2 მ/რ, კ. 29ა, ბ. 24) ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილის მე-2 კმ. შპს „აგროტერმინალში“ მდებარე დაყადაღებული ქონება: სხვადასხვა სახეობის ბიუტეტერია (93 დასახელების); სულ აუქციონზე გასაყიდი ქონების საწყისი საერთო ღირებულება შეადგენს 370000 (სამასამოცდაათი ათას) ლარს, შპს „საქართველოს დამოუკიდებელ საქესპერტო-საარბიტრაჟო პალატის“ 2005 წლის 27 ივნისის №03-381 შეფასების მიხედვით. აუქციონი გაიმართება 2007 წლის 16 ივნისის დღის 11 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბაღდადის ქ. №8, თბილისის საგადასახადო ინსპექციის შენობა.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებუ-

ლებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2 პროცენტი, რომლის შექენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

მსურველები, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდნენ ყოველდღე 2007 წლის 13 ივლისის 18 საათამდე, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციაში ან შემდეგ ტელეფონის ნომერზე 77-28-61.

ინსპექციის უფროსი ბ. კარვალაშვილი

2007 წლის 6 ივლისის დღის 12 საათზე გაიმართება სს „გრდემლის“ აქციონერთა საერთო კრება

დღის წესრიგი:

- 1. 2006 წლის სამეურნეო წლის შედეგები;
2. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
3. აუდიტის არჩევა;
4. ცვლილება სანქსდებო კაპიტალში;
5. რეორგანიზაცია ქონების გაყოფით;
6. სხვადასხვა.

მისამართი: რუსთავი მაზნიაშვილის №4.

განცხადება

15.06.07. ქუთაისი საამციო საზოგადოება „ბაკას“ აქციონერთა საყურადღებოდ

2007 წლის 10 ივლისის 14 საათზე ქ. ქუთაისში, ზ. გამსახურდიას გამზ. 60 ადმინისტრირულ შენობაში ჩატარდება საქციო საზოგადოება „ბაკას“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

- 1. საქციო საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;
2. საქციო საზოგადოება „ბაკას“ ლიკვიდაციის შესახებ.
3. სხვადასხვა.

საამციო საზოგადოება „ბაკას“ ღირამიანი



ეროვნული ბიზნისოთქვა

ორბიტაზა



„სამწვერვლო“ ფეხბურთი

12 ივნისს ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა (ცენტრში) მონაწილეობა მიიღო ფეხბურთის მატჩში, რომელიც გაიმართა ზღვის დონიდან ექვსათას მეტრზე...

მექსიკისკენ ჰერი, ჰერი!


ხალხმობის დედაქალაქ ელისტაში ორი დიდი საჭადრაკო ტურნირი დასრულდა.

პირველში, პრეტენდენტთა ტურნირი რომ ერქვა, სახელგანთქმული დიდოსტატები იბრძოდნენ იმ ოთხი საგზურისთვის, რაც მათ გზას უკავავდა მექსიკისკენ...

კიდევ ორი საგზურის ბედი კი მეექვსე ტურში ლევონ არონიანის (სომხეთი) და ვესსანელებული ალექს შიროვის, აგრეთვე რუსეთელების სერგეი რუბლევსკისა და ალექსანდრე გრიშჩუკის ორთაბრძოლებს უნდა გადაეწყვიტა.

თუ არონიანი „დროში ჩაეტი“ და ერთობ რთულ ბრძოლაში საგზურს დაეუფლა, რუსულ დუეტს დამატებითი დრო დასჭირდა ტაი-ბრეიკის (ტემპოპარტიის) სახით, სადაც უფრო გონივრულად ითამაშა გრიშჩუკმა და მექსიკაშიც ის გაემგზავრება.

ასე რომ, 11 სექტემბერს „საჭადრაკო ტახტისთვის“ ბრძოლაში ჩაებმებიან ვლადიმერ კრამნიკი, პეტრე სვიდლერი, ალექსანდრე მოროზევიჩი და ალექსანდრე გრიშჩუკი (ყველა რუსეთი), ვიში ანანდი (ინდოეთი), ლევონ არონიანი (სომხეთი), პეტრე ლეკო (უნგრეთი) და ბორის გელფანდი (ისრაელი).



არანანკლექსაინტერესო იყო სადღეისოდ ორი უძლიერესი საჭადრაკო კომპიუტერის-მსოფლიო ჩემპიონის Deep Junior და შარშან ვლადიმერ კრამნიკის დამმარცხებლის Deep Eritz ორთაბრძოლა...

სოდ ორი უძლიერესი საჭადრაკო კომპიუტერის-მსოფლიო ჩემპიონის Deep Junior და შარშან ვლადიმერ კრამნიკის დამმარცხებლის Deep Eritz ორთაბრძოლა, რაც პრეტენდენტთა ტურნირის პარალელურად მიმდინარეობდა, როგორც პრეზიდენტის თასი. მისი სპონსორი იყო ფიფის პრეზიდენტი კირსან ილიუშინოვი. საპრიზო ფონდი კი 100 ათასი დოლარი იყო, აქედან გამარჯვებულს 60 ათასი, დანარჩენი დამარცხებულს.

ისრაელურმა ჭკვიანმა მანქანამ Deep Junior დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა - 4-2. ექვსი პარტიდან ორი გამარჯვებით.

როგზურთი


„ავსტრიის ავიახაზების“ თანადგომით

ლეილა მესხის როგზურთის აკადემიის კორტებზე ხვალ დამთავრდება 14 და 16 წლის როგზურთელთა საერთაშორისო ტურნირი „ავსტრიის ავიახაზების“ თასზე. მეცხრე ტრადიციულ შეჯიბრებაში 9 ქვეყნის ასამდე წარმომადგენელი მონაწილეობს.

ამ ასპარეზობასთან დაკავშირებით როგზურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელშიც ტურნირის მთავარი სპონსორის - საქართველოში კომპანია „ავსტრიის ავიახაზების“ გენერალური მენეჯერი ევა ბერგერი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური, როგზურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი მონაწილეობდნენ.

ქალბატონმა ლეილამ მასმედიის წარმომადგელებს განუცხადა, რომ საერთაშორისო წესებით თბილისის ტურნირი მესამე კატეგორიისაა; მეორე კატეგორიის მისაღებად აუცილებელი იყო შეჯიბრებაში 9 ქვეყნის როგზურთელთა მონაწილეობა. რადგანაც წლეულს საჭირო რაოდენობას მივალნივთ, დარწმუნებული ვარ, გაისად საიუბილეო ასპარეზობაზე მეტი სტუმარი გვეყოლებო.

კომპანიისა და როგზურთის ფედერაციის ორმხრივი თანამშრომლობით კმაყოფილება გამოთქვა ქალბატონმა ევა ბერგერმა, რომელმაც ერთი საიდუმლო გაგვანდო, თურმე, საგაისოდ - საიუბილეო ტურნირისთვის სიურპრიზს გვიმზადებს.



რაგბი

„ლოკომოტივის“ მშპ-ში აშუსრუშებს

შპსში საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. ყველაზე საინტერესო ორი წაუგებელი გუნდის - „ყოჩებისა“ და „ლოკომოტივის“ შეხვედრა გამოდგა. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და რკინიგზელებმა მხოლოდ პაექრობის ბოლო ათწუთიან მონაკვეთში მიაღწიეს გამარჯვებას - 25:16.

ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა „ლელომ“ ასპარეზობის დებიუტანტი „უნივერსიტეტი“ დიდი ანგარიშით - 45:7 დაამარცხა. წლეულს პირველად იყო ჩაღეს ქვეყნის ვიცე-ჩემპიონებმა დინამოელებმა, რომლებმაც „არმაზს“ სძლიეს 25:19.



დღეისათვის გათამაშების ცხრილი ასეთია:

Table with 7 columns: Team, W, D, L, P, S, P. Rows include Lokomotiv, Yochab, Lele, Dinamo, Arma, and Universiteti.

ჯანმრთელობა

სპორტიმ კასხაცხას ინეუეს?

სპორტიმ გადაჭარბებულმა გატაცებამ შეიძლება სერიოზული სექსუალური დარღვევები გამოიწვიოს. ამას ავსტრალიელი სწავლულები იუწყებიან.

მოვუსმინოთ რუსეთელ სპეციალისტებსაც: - კუნთური მასის გამაღიძებელ ნებისმიერ სტეროიდულ პრეპარატს სექსუალური ფუნქციის დაქვეითებამდე მიყვავართ. ისინი იქმნებიან მამაკაცის ჰორმონის ტესტოსტერონის საფუძველზე და თანდათან ინვევენ ფარმაკოლოგიურ კასტრაციას.

ჯანმრთელობაზე კეთილმოყოფელ გავლენას ახდენს ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, რომელიც წამლებით არ არის სტიმულირებული. ამავე დროს არსებობს სპორტის ტრავმატული სახეობები (სიმძიმეების აწევა, კრივი და სხვ.), რომელთაც სხვადასხვა დავადების გამოწვევა ძალუძთ და არაპირდაპირ - სექსობრივი ფუნქციის მოშლაც.

მემორიალი

„ზაზა დარასელი“ - მეშვიდედ

სიამაშითა და ღირსებით ემსახურა ურუნალისტის რთულ პროფესიას ზაზა დარასელი. იგი საქმეშიც ისეთივე გახლდათ, როგორც ცხოვრებაში - მართალი, მოსიყვარულე და თანამდგომი.

მისი ინტერესების სფერო განუხალღვრელი იყო. განსაკუთრებით ფეხბურთი იტაცებდა. არც არის გასაკვირი, რადგან უნივერსიტეტში სწავლისას ფეხბურთსა და ხელბურთს თამაშობდა, ვერის ბალის დარბაზში კი უბნის ღირსებას იცავდა მინიფეხბურთში.

მეტეორის გაელვებას ჰგავდა მისი სიცოცხლე. ვერც წარმოგვედგინა, რამე თუ მოერეოდა. სამწუხაროდ, უკურნებელი სენი მასზე ძლიერი აღმოჩნდა.

ძალიან დაგვამწუხრა მისმა გარდაცვალებამ. მეგობრის სახელის უკვდავსაყოფად 2001 წლის შემოდგომაზე მე და გოჩა ხუნდაძემ გადავწყვიტეთ, ზაზა დარასელის სსოვნის ტურნირი მოგვეწყო. შევეხმიანეთ ახლობლებს, ნაცნობებს; ყველა გვერდში დაგვიდგა და რვაგუნდიანი შეჯიბრებაც ჩავატარეთ.


წლეულს ზაზა დარასელის სსოვნის ტურნირს მეშვიდედ ვმართავთ. ისევე რვა გუნდი მონაწილეობს. ორ ჯგუფად გაყოფილი მოასპარეზენი სანყის ეტაპზე წრიული სისტემით შეხვედებიან ერთმანეთს. ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში ითამაშებს. გამარჯვებული 20 ივნისს - ზაზას დაბადების დღეს გამოვლინდება. ასპარეზობის სპონსორები არიან „ტოიო-ტა-კავკასია“, „ეკოფუდი“ და „TV-ლოტო“.

ჯგუფური ტურნირის პაექრობები ყოველდღიურად ვაკეში „ირაოზე“ 11 საათზე დაიწყება. გაუნყებთ გუშინდელი პირველი ტურის შედეგებს: 1 არხი - საზოგადოებრივი მაუწყებელი 2:3, რუსთავი-2 - სარბიელი 5:2, აფხაზეთის ტელევიზია - ბოცვაძელები 0:0, მზე - 24 საათი 2:2.

სერგო კიკალეიშვილი სურათზე: შარშანდელი მემორიალის გამარჯვებული მეორე არხის მინიფეხბურთელთა გუნდი.



საქართველო მისი სამშობლოა, მისი არტისტიკული ტემპერამენტის სა-
თავე, პეტერბურგში ჩამოყალიბდა მოცეკვავედ, ნიუ-იორკში კი ქარ-
თველი გიორგი ბალანჩინაძე, ევროპაში ჯორჯ ბალანჩინად მონათ-
ლული, ამერიკული ქორეოგრაფიის მამამთავარი ხდება



ჯორჯ ბალანჩინის კაბლი

© შენ, ნიჭო ჩემო

სამშობლო გულში იხუტებს...

თბილისი, პეტერბურგი, ნიუ-იორკი... ეს ის ქალაქე-
ბია, რომლებიც სიცოცხლე-
შივე ლეგენდადქცეული, XX
საუკუნის უდიდესი ქორე-
ოგრაფის ჯორჯ ბალანჩი-
ნის ბიოგრაფიას უკავშირ-
დება. საქართველო მისი სამ-
შობლოა, მისი არტისტიკული
ტემპერამენტის სათავე, პე-
ტერბურგში ჩამოყალიბდა
მოცეკვავედ, ნიუ-იორკში კი
ქართველი გიორგი ბალანჩი-
ვაძე, ევროპაში ჯორჯ ბა-
ლანჩინად მონათლული, ამე-
რიკული ქორეოგრაფიის მა-
მამთავარი ხდება.

ლე ფაიფერის“, „მადნეულისა“
და ფონდ „ქართუს“ ხელ-
შეწყობით, მიესადაგა ორ საი-
უბილეო თარიღს – ჯორჯ ბა-
ლანჩინის დაბადებიდან 100
წლისთავს, რომელიც მთელმა
მსოფლიომ აღნიშნა 2004 წელს
და მისი კოლექტივის „ნიუ-იორკ
სითი ბალეტის“ დაარსებიდან
50 წლისთავს.

ამ პროექტის პირველი ეტაპი
უკვე აღსრულდა. 13 ივნისს თბი-
ლისის ზ. ფალიაშვილის სახე-
ლობის ოპერისა და ბალეტის
სახელმწიფო თეატრის სკვერში,
ფასადის მხარეს ბრინჯაოში ჩა-
მოსხმული ქორეოგრაფის ძეგ-
ლი საზეიმოდ გაიხსნა. საგუ-
ლისხმოა, რომ ვაჟა მიქაბერი-

რით, ყველაზე უფრო გამოხა-
ტავს მის ხასიათს. თუ როგორ
შეეცაბა, ეს ჩანაფიქრი, სა-
ზოგადოებამ განსაჯოსო, –
დასძინა მან.

საქართველოს კულტურულ
ცხოვრებაში ღირსშესანიშნა მოვ-
ლენად შეაფასეს ძეგლის დადგმა
ქალაქის მერმა გიგი უგულავამ, სა-
ოპერო თეატრის დირექტორმა და-
ვით საყვარელიძემ, თანამედროვე
საბალეტო ხელოვნების ცნობილმა
სახემ ბორის ეიფმანმა...

ჯორჯ ბალანჩინი დაბრუნდა
სამშობლოში მისი ქორეოგრა-
ფიული მემკვიდრეობის იმ ნა-
წილთან ერთად, რომლებიც ბო-
ლო სამი წლის მანძილზე გა-
ცოცხლდნენ ქართულ საბალე-

სებობის მანძილზე ბორის ეიფ-
მანს 40-ზე მეტი ბალეტი შეუქ-
მნია და დღემდე ეს კოლექტივი
საოცარი წარმატებით სარგებ-
ლობს მთელ მსოფლიოში. ქორე-
ოგრაფმა შეძლო ჩამოეყალიბე-
ბინა საბალეტო დასი განსაკუთ-
რებული პლასტიკური აზროვ-
ნებით, საოცარი გარდასახვის
უნარი, თავად ბორის ეიფმანი,
რომელიც თამამი ექსპერიმენტის
წყალობით ახალი სამსახიობო
სკოლის შემქმნელად ითვლება,
საბალეტო ხელოვნებას გან-
საზღვრავს უწინარესად რო-
გორც სულიერ პროცესს.

თბილისში დასმა წარმოადგი-
ნა ორი ნაწარმოები „მუსაგეტი“
და „რეკვიემი“.


ალარ შემედლო ამ ხიბლისგან
განთავისუფლება, – ამბობს
ბორის ეიფმანი.

„მუსაგეტი“ საფუძვლად დაე-
და ბახის მუსიკა მასში გამოყე-
ნებულია ქართული ხალხური
სიმღერა „გუთნური“, რომელიც
ნაწარმოების ბოლოს უღერს და
სიმბოლურად დიდი ქორეოგ-
რაფის ბედის ერთგვარ გამოძა-
ხილად აღიქმება.

მეორე ნაწარმოები მოცარტის
მუსიკაზე შექმნილი „რეკვიემი“
გახლდათ. – არც ერთ ჩემს სპექ-
ტაკლში არ ვყოფილვარ ასე გულ-
წრფელი, ასე შინაგანად გაშიშ-
ვებული, როგორც ამ ნაწარმო-
ებში, ის შეიძლება მიიღო ან უკუ-
აგდო, მაგრამ ეს ჩემი წარსული,
ანმყო და მომავლის წინათგონო-
ბაა, – ამბობს ქორეოგრაფი.

ქართველი მაცურებელი პე-
ტერბურგელი მოცეკვავეების
ხილვით ნამდვილად ეზიარა თა-
ნამედროვე ქორეოგრაფიული
თეატრის დიდ ხელოვნებას. ეს
ის შემთხვევაა, როდესაც დასის
ყველა წევრი ერთნაირად უზა-
დოდ ფლობს ამ თეატრისათვის
დამახასიათებელ მრავალფერო-
ვან საშუალებებს. ბალეტმაის-
ტერის ქორეოგრაფიულ აზ-
როვნებას ზედმიწევნით დახვე-
წილი ტექნიკითა და სულიერი
ალმაფრენით გადმოსცემენ და
მოვლენათა დაუნდობელ ორომ-
ტრიალში ჭეშმარიტი შემოქმე-
დებით თავგანწირვის მაგა-
ლითს იძლევიან, რომელსაც არ
შეიძლება პატივი არ სცე. ამი-
ტომაც დააჯილდოვა მაცურე-
ბელმა მხურვალე აპლოდისმენ-
ტებით ბორის ეიფმანი და მისი
მოცეკვავეები, სცენა კი ყვავი-
ლებში ჩაიძირა.

რუსუდან
მუსიგულაშვილი



ტივს დიდი ბალეტმაისტე-
რის ხსოვნას, რაც იმით გა-
მოიხატება, რომ საერთაშო-
რისო კულტურული პროექ-
ტის ფარგლებში სამივე ქა-
ლაქში დაიდგმება ძეგლი,
რომლის ავტორია ქართვე-
ლი მოქანდაკე ვაჟა მიქაბე-
რიძე, ხოლო პროექტის ავ-
ტორები არიან კოტე ლუზი-
ნიან-რიჟინაშვილი და გიორ-
გი ბაზაძე. იდეის ავტორია
ცნობილი კინორეჟისორი
ელდარ შენგელაია. პროექ-
ტი, რომელიც განხორ-
ციელდა კომპანიების „დია-

ძისტვის ეს მესამე ნამუშევარია,
რომელიც საქართველოში და-
იდგა (ფიროსმანი მირზაანში,
ფარაჯანოვი თბილისში). თბი-
ლისში განსწავლული ხელოვანი
13 წელია იტალიაში ცხოვრობს
და აქტიურად მუშაობს რო-
გორც მონუმენტურ, ისე სკულ-
პტურული პორტრეტის უნარში.
როგორც მოქანდაკე აღნიშ-
ნა, ჯორჯ ბალანჩინის გამოსა-
ქანდაკებლად მან თანამედრო-
ვე კლასიკური იმპრესიონიზმის
სტილი აირჩია და პოზაც მისთ-
ვის დამახასიათებელი მოძრაო-
ბით წარმოადგინა, რაც მისი აზ-

ტო სცენაზე ნინო ანანიაშვილის
მონადინებით, შედეგების
დაბრუნება გრძელდება – თე-
ატრს ამ მხრივ კვლავაც არაერ-
თი საინტერესო ჩანაფიქრი აქვს.
ძეგლის გახსნას მიესადაგა პე-
ტერბურგიდან ბორის ეიფმანის
ბალეტის თეატრის გასტროლები.
სანქტ-პეტერბურგის სახელმ-
წიფო აკადემიური თეატრი ბო-
რის ეიფმანის ხელმძღვანელო-
ბით 1977 წელს შეიქმნა და მან
პირველივე პროგრამით შეძლო
ძლიერი შთაბეჭდილება მოეხ-
დინა მაცურებელზე, რასაც მაცუ-
რებელთა აღიარება მოჰყვა. არ-

„მუსაგეტი“ ბორის ეიფმანმა
ჯორჯ ბალანჩინს მიუძღვნა. იგი
თავის დროზე „ნიუ-იორკ სითი
ბალეტის“ დაკვეთით დაიდგა.
– ეს ჩემი ალტაციაა მისით,
ეს ხარკი მიგებაა საბალეტო
რუსეთისგან იმის მიმართ,
ვინც ასე გენიალურად განავი-
თარა და სრულყო რუსული
ბალეტის თეატრის ტრადიცი-
ები და შესაძლებელი გახადა
ეკვივის ევოლუცია XIX საუკუ-
ნიდან და XXI საუკუნისაკენ...
მე ჩავიძირე ბალანჩინის ბალე-
ტებში. გაოგნებული ვიყავი
მისი პიროვნებით და უკვე

© ინფორმაცია

გორელი რეჟისორების მუხროვანის ბაზაზე

გუშინ, გორის რაიონის 20
საკრებულოდან 600 რე-
ზერვისტი 15 ავტობუსით
მუხროვანის სამხედრო ბა-
ზის მიმართულებით გაე-
მართა, სადაც 18 დღის გან-
მავლობაში სამხედრო
წრთვებს გაივლიან.
რეზერვისტების ასაკი 27-
დან 40 წლამდეა. რეზერ-
ვისტების განწვევა 2007
წლის მარტში დაიწყო და
პერიოდულად გაგრძელდე-
ბა. გორიდან გუშინ პირვე-
ლი ნაკადი გაემგზავრა, ხო-
ლო მე-2 ნაკადი 29 აგვის-
ტოს გაემგზავრება.
XO-308-360

© კოლეგა

„საქართველო ჩემი სამშობლოა“...

...სტუდენტის მერხიდან
პირდაპირ ჟურნალისტიკა-
ში შემოაბიჯა და 37 წელი-
წადია ამ პროფესიის ერთ-
გულია ისლამ ალიევი.

1970 წელს, აზერბაიჯან-
ული ფილოლოგიის ფა-
კულტეტის დამთავრების
შემდეგ, გაზეთ „საბჭოთა
გურჯისტანში“ (ახლანდელ-
ში „გურჯისტანში“) შეს-
თავაზეს მუშაობა. კორექ-
ტორიდან რედაქტორის
მოადგილის თანამდებო-
ბამდე პატიოსნად და ერ-
თგულად განვლო გზა-სა-
ვალი: „ბედს არ ვემდურე.
კმაყოფილი ვარ, რომ
ჩვენს გაზეთში იმ ქვეყნის
მატიანეს ვწერდი, რომე-
ლიც მიყვარს, სადაც ვუყ-
ვარვარ და პატივს მცემენ“, –
ამბობს ბატონი ისლამი.
37 წელიც ამოდ არ შეუ-

ლევია გაზეთისთვის. ტრადი-
ციულ სარედაქციო კოლექტივ-
ში მუშაობა მისთვის საამაყო
და სასიამოვნოა. აქ პატივს სცე-
მენ მას და აფასებენ.



აზერბაიჯანულენოვანი გა-
ზეთი ერთადერთია საქართვე-
ლოში, რომელიც კვირაში ერ-
თხელ გამოდის და, ძირითადად,
ეს ოცნება შეუსრულდეს. ეს

ქვემო ქართლსა და კახეთში
ვრცელდება.

– მთავარი თემა ქართველ-
ბისა და აზერბაიჯანელების
თანამშრომლობაა. აზერბაიჯა-
ნელები ამ ბოლო დროს დიდი
ინტერესით სწავლობენ სა-
ხელმწიფო ენას – ქართულს.
სპეციალურ კურსებსაც გადი-
ან. ყველას გვინდა, რომ სა-
ქართველო-აზერბაიჯანის
ერთიერთობა განვითარდეს
და გაუმჯობესდეს.

ბატონი ისლამი პრესის იმ
ტრადიციების ერთგულია,
რომელიც სიკეთეს ემსახურე-
ბა: „37 წლის მანძილზე, ჩემს
კალამს კეთილის გარდა სიტყ-
ვა არ დაუნერია. საქართვე-
ლოს ყოველი წარმატება მი-
ხარია. ძალიან მინდა საქარ-
თველოს ტერიტორიული მთლი-
ანობა აღდგეს და ქართველ ერს
ეს ოცნება შეუსრულდეს. ეს

მრავალი აზერბაიჯანელის
ნატვრაცაა. ისინი ამბობენ, რომ
საქართველოს ბედნიერება მა-
თი ბედნიერებაცაა“...

ბატონ ისლამს 3 შვილი და 7
შვილიშვილი ჰყავს. საქართვე-
ლო ჩემი სამშობლოა, ამას ისე
გულწრფელად ამბობს, ეჭვს
ვერ შეიტან. მერე იხსენებს:
„ზვიად გამსახურდიას ნემტის
გადმოსვენების დღეს, მე და ჩე-
მი პატარა შვილიშვილი ტელე-
ვიზორს ვუყურებდით. უცებ
იგი მუხლებიდან ჩამომიხტა, ხე-
ლები ასწია და დაიძახა: „გაუ-
მარჯოს საქართველოს!“ ძალი-
ან ავლელი და მეც ვუპასუხე,
გაუმარჯოს-მეთქი“...

აი, ასე უყვარს ბატონ ისლამს
და მის ოჯახს საქართველო.
ბატონი ისლამი 60 წლისა მო-
იყვარა. „საქართველოს რესპუბ-
ლიკა“ გულითადად ულოცავს
საიუბილეო თარიღს ძვირფას
კოლეგას და უღალატო მეგო-
ბარს.

თამარ შაიშვილი

№ 111. პარასკევი. 15 ივნისი, 2007 წელი.



გამოფენა-გაყიდვა

თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი



წიგნის გამოფენა და გამოყიდვა ორგანიზაციის თაოსნობით 14 ივნისს დიდუბის საგანგებო პავილიონში წიგნის მე-9 საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა. მასში 100-მდე ორგანიზაცია მონაწილეობს: წიგნის გამოყიდვები, გამაგრებულნი, მაღაზიები, ასევე წარმოდგენილი არიან საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროკავშირი.

ბის, დებიუტანტი მთარგმნელის ნალვანის, ილუსტრირებული ბიოგრაფიების პრეზენტაცია. ორგანიზატორები მიიჩნევენ, ფესტივალი მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ ერთ სივრცესა და ერთ დროშია წარმოდგენილი მთლიანად წიგნის სექტორი. ეს იმისთვის კეთდება რომ ერთმანეთი გაიცნონ მწერლებმა, გამომცემლებმა, მკითხველმა. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ წიგნის შექმნა 30-50 პროცენტის ფასდაკლებით შეიძლება.

თაა მოსია

მართული საზოგადოება

საგასტროლოდ - ისრაელში

მართული სეზონის სახელმწიფო პროგრამის ეგიდით, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი 19-25 ივნისს საგასტროლოდ მიემგზავრება ისრაელში, თეატრის სიმფონიური ორკესტრი და სოლისტები კონცერტებს გამართავენ ისრაელის ორ ქალაქში - 20 ივნისს მაალოთში, 21-ში რაანანაში.

ვალფეროვანია - ქართველი მუსიკოსები შეასრულებენ ჯუზეპე ვერდის, ჯაკომო პუჩინის, ფრანჩესკო ჩილეს, კამილ სენ-სანსის, რიჰარდ შტრაუსის, ზაქარია ფალიაშვილის, ოთარ თაქთაქიშვილის, რევაზ ლალიძის თხზულებებს.

წინასწარი ინფორმაციით, ბილეთების დიდი ნაწილი უკვე გაყიდულია, რაც უდავოდ მეტყველებს აღნიშნული გასტროლით, უფრო ფართოდ კი, ქართული მუსიკალურ-სამუსიკო სფეროში დაინტერესებულ კონცერტების წარმატების შემთხვევაში, თბილისის ოპერის თეატრს საერთაშორისო ასპარეზზე ახალი პერსპექტივები გაუჩნდება.

კონცერტებში მონაწილეობენ: მაცვალა ასპანიძე, სულხან გველესიანი, თეიმურაზ გუგუშვილი, ლეგი იმედაშვილი, გიორგი მახარაძე, გიორგი ონიანი, ელენა პუტილოვა, ირინე რატიანი, ნინო ჩაჩუა. ორკესტრს წარუძღვებიან დირიჟორები - ზაზა აზმაიფარაშვილი და გიგი ტიჭინაძე.

საკონცერტო პროგრამა მრავალფეროვანია

რუსუდან მუსხაძე

ბახსენება

გიორგი სანადირაძე



მწერალი, ჟურნალისტი, რედაქტორი, მრავალი წიგნის რეცენზენტი, ახალგაზრდა ჟურნალისტი და მამრიგებელი და გაზაზე დამყენებელი, ოჯახის მზრუნველი მამა და ულატო მეგობარი...

გიორგი სანადირაძის შემოქმედებითი ნიჭი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გამოჩნდა, როდესაც მშობლიურ ბათუმში გამოაქვეყნა პირველი ლექსები, ნოველები, ჩანახატები, კი ქართველი მკითხველი გატაცებით კითხულობდა მის რომანებს, დეტექტივებს თუ სხვა სახის თხზულებებს: „მონარქის სევედა“, „საბედისწერო გასროლა“, „ნადირობა მგლებზე“, „უსაფლავო ჯარისკაცები“, „სიკვდილის ზღვარს მიღმა“, „ბრილიანტის დედოფალი“, „ცეკვა აჩრდილთან“.

მეტად ნაყოფიერი გამოდგა მისი მოღვაწეობა ჟურნალისტიკის სფეროში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გარდაცვალებამდე რედაქტორობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მისი უშუალო აქტიურობით დაარსებულ გაზეთებს „სიმართლე“, „სრულიად არასაიდუმლო“, „კრიმინალური ქრონიკა“ და ბოლოს გაზეთ „საქართველოს ვარსკვლავს“.

გამორჩეულად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კოლექტივთან. ამ გაზეთში ის რეგულარულად აქვეყნებდა სტატიებს ჩვენი რთული დროის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე.

სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის პროზის სექციაში, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციაში და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში პასუხსაგებ თანამდებობებზე.

საბედისწერო გამოდგა მისთვის 2006 წელი... შემოქმედებითი აღმავლობის უამს შეწყდა მისი სიცოცხლე.

ჩვენ კი მოკრძალებული წერილით კიდევ ერთხელ შევახსენებთ ქართველ საზოგადოებას ერისა და ქვეყნის წინაშე ღირსეულად ვალდებული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი სანადირაძის სახელს.

გურამ გოგიაშვილი, ალექსი ასლანიშვილი, რუსუდან მუსხაძე, გონდო გულიაშვილი, ტარიელ ზოზარაშვილი.

სსრკ

ელიზავეტა (ლიზიკო) პარამაშვილი



გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი ლიზიკო პარამაშვილი.

ლიზიკო ვარამაშვილი დაიბადა 1924 წელს სიღნაღის რაიონში. 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო რიგითი ეკონომისტიდან. სხვადასხვა დროს მუშაობდა მაღალ პასუხსაგებ თანამდებობებზე საქართველოს ვაჭრობის სამინისტროში, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, მატერიალური რესურსებისა და ვაჭრობის სამინისტროებში.

უწინაესგ გასვლის შემდეგ, გარდაცვალებამდე არ შეუწყვეტია შრომითი საქმიანობა და ყოველთვის მაღალ პროფესიულ დონეზე უძღვებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მრავალჯერ იყო არჩეული ქ. თბილისის კალინინის რაიონული საბჭოს დეპუტატად, კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი მუშაობისთვის არაერთხელ იყო დაჯილდოებული პრემიებითა და საპატიო სიგელებით, საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 50 წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდა მედლით.

ლიზიკო ვარამაშვილი იყო მაღალი დონის პროფესიონალი, მრავალმხრივ განვითარებული და დიდი ინტელექტის მქონე ქალბატონი, ძვირფასი მეუღლე, დედა და ბებია, შესანიშნავი კოლეგა და მეგობარი.

ღირსეული მოქალაქისა და თვალსაჩინო ქალბატონის ლიზიკო ვარამაშვილის ნათელი ხსოვნა მარადეფამ დარჩება ყველა ახლობლის გულში და უფლის წყალობით მარადიულ ნათელში მოუწევს ყოფნა.

მეუღლე ვახტანგი, შვილები ლალი, ვაჟა ცერცვაძეები, შვილიშვილები მარიამ, ივიკო ცერცვაძეები, დარეჯან, გიორგი დევიდარიანი, რძლები მარო ვარამაშვილი, ნინო ჯოჯიშვილი, სიძე დევი დევიდარიანი, ძმისწული მარიკა ვარამაშვილი, მძახლები მერი, ირაკლი ჯოჯიშვილები, მახლი ზურაბი, მახლიშვილები მარინა, ალიკო ცერცვაძეები, მულიშვილი ანზორ სანაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელიზავეტა (ლიზიკო) ნიკოლოზის ასული პარამაშვილი-ცერცვაძისა
პანაშივი 14, 15 VI, 17 სთ. დაკრძალვა 16 VI, 15 სთ. ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. №19. შესასვლელი ფალიაშვილის ქ. №36-დან.

სააქციო საზოგადოება თბილისის №1 „ავეჯის სახლის“ თანამშრომლები თანაუგრძობენ ბატონ ვახტანგ ცერცვაძეს მეუღლის

ლიზიკო ნიკოლოზის ასული პარამაშვილი-ცერცვაძის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლო ნათესავებს.

ჯუმბერ შენგელია ოჯახით სამძიმარს უცხადებს გია და როზა კაჭარავეებს დის კლარა ვიძთორის ასულ კაჭარავეას გარდაცვალების გამო.

ინფორმაცია

გია ნუცუბიძის 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

პარლამენტის ყოფილ წევრს გია ნუცუბიძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.


პროკურატურამ ნუცუბიძესთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა, რითაც ყოფილმა პარლამენტარმა სასჯელის მინიმუმი მიიღო.

ნუცუბიძისგან განსხვავებით, მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა მასთან ერთად დაკავებულ დავით სიხარულიძეს.

გია ნუცუბიძე განათლების მინისტრის მოადგილე თეიმურაზ სამადაშვილისთვის ქრონის, 41 ათასი ლარის გადაცემის ფაქტზე 2006 წლის 27 ოქტომბერს დააკავეს. მას 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა.

რაც შეეხება დავით სიხარულიძეს, იგი სამშენებლო კომპანია „ამალეზა-98“-ს ხელმძღვანელობდა. ბრალდების მიხედვით, გია ნუცუბიძემ ქრთამი სამადაშვილს იმ მიზნით გადასცა, რომ „ამალეზა 98“-ი სკოლებში სარემონტო სამუშაოების ჩატარებისთვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულიყო. ამასთან, გამოძიების მტკიცებით, სარემონტო სამუშაოებზე გადარიცხულ თანხაზე გაცილებით ნაკლები დაიხარჯა.

XO-308-360



სამედიცინო ინსტიტუტ „თბილისის“ (რექტორი - პროფ. ნოდარ ბაქრაძე) პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა უდიდესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვახტანგ გომეზაძე

ინსტიტუტისთვის ამაგდარი პედაგოგი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ცნობილი პოლიტიკოსი, მეცნიერი, პუბლიცისტი და პიროვნება, რომლის შორსმჭვრეტელური ხედვით, მისი სპიკერობის პერიოდში ბევრი სასიკეთო საქმე განხორციელდა საქართველოსთვის.

დიდად დასანანი კი ის არის, რომ სწორედ სიბრძნის ასაკის უამს წავიდა ქვეყნიდან ადამიანი, რომელმაც სამშობლოსათვის უმთავრესი სათქმელი, სამწუხაროდ ვერ მოასწრო.

შვილი ვასიკო სანაძე. რძალი დოდო კაპანაძე, შვილიშვილები ეკა, თამთა სანაძეები, შვილთაშვილები გიორგი თურმანიძე, ნინო თაფლაძე, სიძეები ზაზა თურმანიძე, ზურა თაფლაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა.

თამარ (თალა) კიკაბაძე
პანაშივი 15, 16 VI, 17 სთ. გამოსვენება 17 VI, 15 სთ. მისამართი: ჩიქოვანის (ყოფილი ხილიანის) №20.

ქეთინო, მანანა სანაძეები, მიშკა შუბლაძე, სანდრო გეგეჭკორი იუწყებიან რომ გარდაიცვალა
თამარ (თალა) კიკაბაძე.

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის და აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ეთნოგრაფი, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის პროფესორი, პროფესორ ლია ჩლაიძის მეუღლე
თაიშვარაზ ჩიქოვანი
და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები გიორგი, დავითი, ირინა, ძმა გაბრიელ ნადარეიშვილი ოჯახებით უღრმესი მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

მამიკაზნ გაბრიელის ასული ნადარეიშვილი
პანაშივი 15 VI, 17 სთ. გამოსვენება 16 VI, 15 სთ. ივ. ჯავახიშვილის ქ. (ყოფილი კალინინის) 47, დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

რაც შეეხება თქვენს უშუალოებას, საუბრის თავისუფალ მანერას, ქცევის შეუზღუდავ სტილს, დარდიმანდული და ტემპერამენტის კამათის ფორმას, მუნდშტუკიანი პაპიროსის თანხლებით გამოსვლებს, არ შემოიძლია არ გითხრათ, რომ სტრედფორდელი ლორდის საუბარს ჩამოგავს



კეთილი სიტყვა

თქვენში მე ვხედავ ერის გულშემატკივარს

წერილი მწერალ ოზია იოსელიანს

ბატონო ოზია! კარგა ხანია, სურვილი მაქვს შეგეხმიანოთ და გამოვთქვა ჩემი შეხედულება ტელევიზიით თქვენს გამოსვლებზე. ამ საუბრებით შექმნა სრული



ლოს შვილი ბრძანდებით, ვიტენბერგის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტები არ დაგიმთავრებიათ, იმერულ დი-ალექტზეც მეტყველებთ, მაგრამ მეტად ჭკვიანურ, ბრძნულ, მეტისმეტად ეროვნული მნიშვნელობის აზრებს ქადაგებთ. თქვენი საუბრები ქართული სალიტერატურო ერის დაცვაზე, ყმანვილკაცების აღზრდაზე, ეროვნული სიმდიდრის გასხვისებაზე, სასკოლო რეფორმაზე, ეგზომ ძვირფასია ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის და, ამასთანავე,

შთაბეჭდილება თქვენს პიროვნებაზე, რაც მსურს თქვენც გაგიზიაროთ. როგორც ინგლისური ენის სპეციალისტი, მივხედავ ინგლისური ერთი ლექსის გამონათქვამს: „კეთილი სიტყვა, უთქმელი არ დაგრჩეს!“ ამ რწმენით ვხელმძღვანელობ და მინდა გითხრათ, რომ ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა სატელევიზიო გამოსვლებმა. გერმანულ ენასაც კარგად ვფლობ და მაგონდება ერთი საგულისხმო გამონათქვამი: „სალი გონება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეცნიერება და სალი გონება მეცნიერებით ვერ მიიღწევა“. ეს გერმანული სიტყვები ზედმინდენით შეესაბამება თქვენს პიროვნებას, ასე ვფიქრობ და არ უნდა ვცდებოდეთ. თქვენ პატარა საქართვე-

საერთაშორისო სატელევიზიო ეხმინება. რაც შეეხება თქვენს უშუალოებას, საუბრის თავისუფალ მანერას, ქცევის შეუზღუდავ სტილს, დარდიმანდული და ტემპერამენტის კამათის ფორმას, მუნდშტუკიანი პაპიროსის თანხლებით გამოსვლებს, არ შემოიძლია არ გითხრათ, რომ სტრედფორდელი ლორდის საუბარს ჩამოგავს. თქვენში მე ვხედავ ჩვენი სამშობლოს, ქართველი ერის გულშემატკივარ მამულიშვილს, ჭეშმარიტ პატრიოტს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ასეთი შემართებით გამოსვლებს, ქართველი ერის საამაყოდ. თქვენი უკომპრომიზობა და პატრიოტიზმი მისაბძია ყოველი ქართველისათვის.

პატივისცემით,
თინათინ
თუშაალიშვილი-
გოვალიურისა

P.S. 90 წლისა ვარ. ნახევარი საუკუნის მანძილზე ვასწავლიდი უცხო ენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ შინ თუ გარეთ, თუ ამის საჭიროება არ არის, ქართულ ენაზე ვმეტყველებ, არ მივმართავ „მოდურ“ გამოთქმებს, ბარბაროზებს, რასაც ასეთი დაუინებო ნერგავენ ჩვენი რადიომთარეობა, ტელეარხები, პრესა, ჩინოსანი მოხელეები, მათი მიმბაძველობით კი ახალგაზრდა წამყვანები, გამომსვლელები, მომღერლები.

თ. თ.

„დრო, დრო აღნიშნა!“

მეოცე საუკუნის ფოტოგრაფიულ წარმომადგენელ ფოტოჟურნალისტი ბიზი მახტანბაიძე



ცნობილია, რომ არმიის გენერალ შტემენკოს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ქართველების, საქართველოს მიმართ. ჰოდა, ახლაც კრემლის ყრილობათა სასახლეში შემთხვევა არ გაუშვა, რომ სამახსოვრო ფოტო გადაეღო კახელ მეურნეებთან - ა. კობაიძესთან, ი. ლვედაშვილთან, ა. მარგალიტაშვილთან.

ანექლოტაუი

გოგო ტაქს აჩერებს: - აეროპორტში ვერ წამიყვანთ?

- რამდენს გადაიხდი? - იცით რა, მირჩვენია, ნატურით გადაგიხადოთ, - იტყვლარაჭება გოგო.

მძლოლი დიდხანს და ყურადღებით ათვალიერებს მას და ეუბნება:

- აეროპორტში? არა, არ წავალ!

* * *
- თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რა გვიშლის ხელს ინგლისური სიტყვების სწორად წარმოთქმაში? - ეკითხება ამერიკელი პროფესორი უცხოელ სტუდენტს.

- ამას რა დიდი გამოცნობა უნდა - ვევი!

* * *
ტიპი თეატრალურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებს.

- ბულგაკოვის „ძაღლის გული“ თუ წაგიკითხავთ? - ეკითხება კომისიის თავმჯდომარე.

- კი, წამიკითხავს!
- მაშინ აიღეთ ბალაღიკა და შექმენით შარიკოვის სახე.

- !... !!... !!!
- ჰო, არა უშავს, სანაქებო ტემპერამენტი და ნატურალიზმია. თუმცა, სიმართლე გითხრათ, სულაც არ იყო საჭირო კომისიის პატივცემული წევრებისთვის უხამსი შაირების მიძღვნა, თავმჯდომარისთვის შეკურთხება და იატაკზე მოსაქმება, მაგიდის ფეხისთვის მიშარდვაზე რომ არაფერი ვთქვათ!

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

ლარის კურსი

15 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შეფასები კურსი

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,3049 ლარი
აშშ დოლარი	1	1,6755 ლარი
ევრო	1	2,2351 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0645 ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1	1,9562 ლარი
სომხური დრამი	100	0,4837 ლარი
უკრაინული გრივნა	10	3,3363 ლარი

კადრი

თბილისის №13 პოლიკლინიკის კოგნოკოგნიტიური განყოფილება

მალალკვალიფიციური ექიმი-სპეციალისტები
თ. ალაშვილი, თ. ჭანტურია, ი. ზუბაშვილი

მკურნალობენ: ალერგიულ, აუტოიმუნურ და ანთებით დაავადებებს, ტრომბოციტოპენიას, C-ჰეპატიტს, ალკოჰოლურ ციროზს, პროსტატის ანთებას და სხვა პათოლოგიებს.

მისამართი: რუსთაველის გამზირი 28/ა. ჭავჭავაძის ქ. №2.

ტელეფონი: 98-64-86;
მობილური: 8-99-55-99-61.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA აიფყო და დეკაბრდონდა გამომცემლობა საქართველოში. მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-50-22. დავლება გამომცემლობა „მულანა“ სტამბოლში, რამენიშის რაიონი, 20.	გაზეთი „საბარტოველოს რესპუბლიკის“ გამომცემლობები შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი მფრანგული მფრანგული. მისამართი: კოსტავას ქ. №14. ტ. 899 537616; 98-96-33.	შპს „თანადგობა“-1 ტიზიჩის ქ. №12. ტ. 899 797679; 98-96-32.	მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი მორიგე რედაქტორი კონსტანტინე გურგენიძე	ინდემი 66434, მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. მთავარი რედაქტორი: 98-96-34. მთავარი რედაქტორის მოვალეობა: 98-96-33. სარედაქციო განყოფილება: 98-96-32; 899 328576	რედაქციის მიერ მუშავებული მასალის დამუშავება ავტორთა ხარჯით. წერილობითი მოწვევით უფასოდ უზრუნველდება პასუხის აბაზან ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, გულაბ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ავტორებს ვთხოვთ, კომუნიკაციებზე ანაწერა 2-2,5 ნაბეჭდ ბაერზე მიმართონ მისულობის სტაბილს ნუ შემოგვთავაზებენ.
---	---	--	---	--	--